




წმინდა გადმოცემა და
მართლმადიდებლური
სწავლება ყოვლადწმინდა
ღვთისმშობლის შესახებ


წმინდა გადმოცემა და
მართლმადიდებლური
სწავლება ყოვლადწმინდა
ღვთისმშობლის შესახებ



კაპიტალი

[2011]

კუძღვნი დედის ხსოვნას



ბოლო საუკუნე-ნახევრის მანძილზე რომის კათოლიკურ ეკლესიურ აღმსარებლობას ორი ახალი დოგმატი დამატა: ღვთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის შესახებ და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და მარადისქალწულ მარიამის მიერ მიწიერი ცხოვრების გზის დასრულების შემდეგ სხეულითა და სულით ზეციურ დიდებაში აყვანის შესახებ. ამ კერძო აღმსარებლობითი შეხედულებების დოგმატიზება კათოლიკური დოგმატური აზროვნების განვითარების იდეის რეალიზაციის შედეგია, ასეთი სიახლეების შემოღება კი რომის კათოლიკურ ეკლესიას სულ უფრო მეტად აშორებს მსოფლიო ეკლესიური აზროვნების მემკვიდრეობას.

ნაშრომში „წმინდა გადმოცემა და მართლმადიდებლური სწავლება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შესახებ“ მარიოლოგიური კათოლიკური დოგმატები მარადისქალწულთან დაკავშირებულ მართლმადიდებლურ სწავლებასთანაა შედარებული. ამასთან, მართლმადიდებლური აღმსარებლობის პოზიცია არგუმენტირებულად არის დასაბუთებული. წიგნში გადმოცემულია ეკლესიის მიერ შეწყნარებულ აპოკრიფებში წარმოდგენილი მასალა ღვთისმშობლის შობის, ამქვეყნიური ცხოვრებისა და გარდაცვალების თაობაზე.

წიგნი საინტერესოა დოგმატური, შედარებითი ღვთისმეტყველებისა და, ზოგადად, ეკლესიური აღმსარებლობით დაინტერესებული მკითხველისათვის.

რეცენზირებულია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გამოცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტის მიერ და ნებადართულია გამოსაცემად!


	სსამპროდ	ს რ №
	31-05-11	392

დეპარტამენტის თავმჯდომარე *[Signature]*
ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი

K282.621

ავტორი: როლანდ-რომილე ჩხეიძე
რედაქტორი: თამარ მამაცაშვილი
კომპიუტერული მომსახურება: თამარ არაბული
კორექტორები: ნატალია ტოროშელიძე; მანანა ბოჟაძე

ISBN 978-9941-0-3430-5



საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა



ყოვლადწმინდა და მარადისქალწული ღვთისმშობლის დაბალება

ყოვლადწმინდა მარიამი

*„შობამან შენმან, ღვთისმშობელო ქალწულო,
სიხარული აუნყა ყოველსა სოფელსა...“*

წყაროები

ცნობები მარიამ ღვთისმშობლის შესახებ წმინდა წერილში საკმაოდ მოკრძალებული რაოდენობით მოიპოვება. აქ მისი პიროვნებისა და ცხოვრების ამსახველი სურათები მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდშია წარმოდგენილი (მათ. 1:16, 18-25; 2:11, 13-15, 19-23; 12:46-50; 13:55; მარკ. 3:31-35; ლუკ. 1:26-56; 2:4-7, 16-52; 8:19-21; იოან. 2:1-12; 19:25-27; საქმ. 1:14). ბიბლიური მასალიდან თითქმის ვერაფერს შევიტყობთ ვერც მის დაბადებასთან დაკავშირებული მოვლენების, ვერც მის ტაძრად მიყვანისა და ვერც იმის შესახებ, როგორ მიმდინარეობდა მისი ცხოვრება სულთმოფენობის შემდეგ.

ამ ამბებმა ჩვენამდე ძირითადად საეკლესიო გარდამოცემის, ისტორიული თხზულებების, ჰომილეტიკური (საეკლესიო მოძღვრება-ქადაგებების ჩანაწერები) მემკვიდრეობისა და ჰიმნოგრაფიული ძეგლების საშუალებით მოაღწია.

ღვთისმშობლის ცხოვრების შესახებ პირველ დაწვრილებით არაბიბლიურ მასალას ადრექრისტიანული პერიოდის აპოკრიფებში ამოვიკითხავთ. აპოკრიფული მემკვიდრეობა ორ ნაწილად იყოფა: შეწყნარებული და შეუწყნარებელი აპოკრიფები. შეწყნარებული აპოკრიფები სულისთვის სასარგებლოდ არიან მიჩნეულნი. მათში გადმოცემული ღვთისმშობლის ამქვეყნიური ცხოვრების ამსახველი მოვლენები მრავალგზის შემოწმდა, გნოსტიკური მინარევებისგან გასუფთავდა, მოძღვრების შესაბამისობა კანონიკურ და სახარებისეულ ცნობებს

შეუდარდა და ის, რაც თანამხვედრი აღმოჩნდა, ნამდვილად და კეთილსაიმედოდ იქნა მიჩნეული.

აპოკრიფული მასალიდან აღებული სიუჟეტების საყოველთაო პოპულარობა თვით მარიამ ღვთისმშობლის პიროვნული დასვეწილობითა და ღვთისადმი სამაგალითო სასოებით განისაზღვრა. ღვთისმშობლისადმი ბუნებრივი სიყვარული იმითაც დასტურდება, რომ ეს უძველესი აპოკრიფები სხვადასხვა ენაზე ითარგმნა, მათი გამოყენებით მრავალი საგალობელი და ადგილობრივი თუ ზოგადსაეკლესიო მნიშვნელობის სასულიერო შინაარსის ნაწარმოები შეიქმნა.

ღვთისმშობლის ცხოვრების ამსახველი ისტორიები თავიდანვე იწვევდა მართლმადიდებელი მამების ცხოველ ინტერესს. ამ სიუჟეტებმა ცოცხალი გამოსმაურება წმინდა ეფრემ ასურის, იოანე ოქროპირის, იოანე დამასკელის, გრიგოლ პალამასა და სხვათა ქადაგებებშიც პოვა.

დაბადება

აპოკრიფულ მასალაზე მრავალწლიანი მუშაობის შედეგად საბოლოოდ ჩამოყალიბდა სრული ხატი და მართალი ისტორია მარიამ ღვთისმშობლის ამაქვეყნიური ცხოვრების შესახებ.

მარიამის მამა იოაკიმე – იუდას სამეფო ტომის შთამომავალი, ხოლო დედა ანა – აარონის ტომის ღვთისმსახურმატთანის უმცროსი ასული იყო. ეს პატარა ოჯახი სრული ღვთისმოსაობით გამოირჩეოდა, თავისი შემოსავლიდან ერთ მესამედს ტაძარს სწირავდა, მეორეს ღატაკებსა და მოხუცებს უყოფდა, დარჩენილს კი პირადი საჭიროებისთვის იყენებდა. შეიძლება ითქვას, რომ ერთი შეხედვით ისინი ბედნიერი ადამიანები იყვნენ, მაგრამ 50 წლიანი ცოლქმრული თანაცხოვრების შემდეგ შვილი არ ჰყავდათ და უნაყოფობა მათ გულებს მწუხარებით ავსებდა: იმდროინდელი წარმოდგენით, უშვილობა შეურაცხყოფილ მდგომარეობად და ღვთისაგან უდიდეს სასჯელად ითვლებოდა. მათი უშვილობის გამო ღვთისმსახურები და ახლობლები მათ მუდმივად ყვედრებით იხსენიებდნენ.


დიდ დღესასწაულებს, როგორც წესი, ისინი იერუსალიმში ხვდებოდნენ. ტაძრის განახლების დღესასწაულზე ჩვეულებ-

ისამებრ იოაკიმეც მივიდა, რათა თანამემამულეებთან ერთად მსხვერპლი შეეწირა. მაგრამ მღვდელმთავარმა ისხარმა მისი ძღვენი არ მიიღო, უშვილობა დააყვედრა და უთხრა: „უფალმა რაღაც საიდუმლო ცოდვის გამო მოგაკლო კურთხევა“. სხვა თანამომკემბაც, რომლებიც იქ იყვნენ, დაუმატეს: „შენ არ გაქვს ნება, მსხვერპლი ჩვენთან ერთად შესწირო, იმიტომ რომ ისრაელის თესლი არ შეგიქმნია“. მეტად მძიმე იყო ასე სახალხოდ ამგვარი საყვედურების მოსმენა და გულდამძიმებული იოაკიმე სახლში აღარ დაბრუნებულა, ტაძრიდან უდაბნოში წავიდა. მართალი მოხუცი ორმოცი დღე და ორმოცი ღამე გოდებდა, მარხულობდა და ლოცულობდა. მწუხარებას ცრემლით იქარებდა, ღმერთს შესთხოვდა, რომ სირცხვილი და ყვედრება აცვილებინა და სიბერის მიუხედავად მისთვის შვილი მიეცა.

ამავე დროს, როდესაც ქმრის შეურაცხყოფის ამბავი შეიტყო, ანა შინაურთაგან განცალკევდა და თავისი მწუხარების დასაფარავად, ბაღში გავიდა. იქ ის დაფნის ხის ძირას მჯდომარე მოთქვამდა და ლოცულობდა. მას ურყევად სწამდა, რომ ღმერთი ძლიერია და კაცთაგან შეუძლებელი შესაძლებლად შეიძლება მოაქციოს!

მოულოდნელად ანას პირისპირ უფლის ანგელოზი გაჩნდა. ანგელოზმა მას მიმართა: „ანა, უფალმა ისმინა შენი ლოცვები — გეყოლება შვილი და შენი თესლისგან იკურთხება ყოველი ტომი დედამიწაზე. შენი ასულის სახელი მარიამი იქნება და კაცობრიობა მისგან მსსნელს მიიღებს“. ამასთან ანგელოზმა უთხრა ანას, რომ ის ახლა იერუსალიმში უნდა წასულიყო და იქ, ოქროს ჭიშკართან, ქმარს შეხვდებოდა. სიხარულით აღესიღმა ქალმა წამოიძახა: „ცხოველ არს ღმერთი ჩემი! თუ შემეძინება ასული, მას ღმერთს შევწირავ, დაე, დღედაღამ მას ემსახუროს და მისი წმინდა სახელი განადიდოს“. ამ აღთქმის შემდეგ მან იერუსალიმისკენ ისწრაფა, რათა უფლისთვის დიდება და მადლობა შეეწირა.

ანგელოზი უდაბნოში ლოცვად მდგარ მართალ იოაკიმესაც გამოეცხადა: „უფალმა შეიწყნარა შენი ლოცვა, — უთხრა ანგელოზმა იოაკიმეს, — შენი ცოლი შობს ასულს, რომელიც ყველას სიხარულს მოუტანს. წადი იერუსალიმში და იქ, ოქროს ჭიშკართან, შენს ცოლს იპოვი, მე მას ეს ამბავი უკვე ვაცნობე“.



ყოვლადწმინდა მარიამი მთის ფერდობზე შეფენილ პატარა ქალაქ ნაზარეთში იშვა, რომელსაც იერუსალიმს (სამი დღის სავალი მანძილი აშორებდა. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი ნაკლებად ცნობილ ადგილას დაიბადა, ის გამოვიდა ოდესღაც სახელგანთქმული, იმუამად კი უკვე დამცირებული და ყოველგვარ ბრწყინვალეებას მოკლებული დავითის ტომიდან. მისი დაბადება ამქვეყნიური დიდებითა და პატივით არ შემოსილა. მაგრამ იმ უხილავი დიდების შუქზე, რომელსაც ღმერთი მრავალი საუკუნის მანძილზე ამზადებდა და რაც უფლის დიდებული, შობით უნდა აღსრულებულიყო, ყოველგვარი მიწიერი უპირატესობა ფერმკრთალია (orthodoxy.ge).

ხანდაზმულმა მშობლებმა ღმერთს სამადლობელი მსხვერპლი შესწირეს. მართალმა ანამ ასულის დაბადების შემდეგ აღთქმა დადო, რომ ჩვილი მიწაზე მანამდე არ გაივლიდა, სანამ მას ტაძრად არ მიიყვანდნენ. როგორც წმინდა გრიგოლ პალამა ბრძანებს: „...მათ ღვთისგან დაპირება მიიღეს და პირობა დაბადებით აღსრულდა; შემდეგ ღვთისგან ბოძებული მათ ღმერთსვე დაუბრუნეს“. (Greg. Pal. In Praesent. 8). როდესაც ბავშვს სამი წელი შეუსრულდა, მართალმა იოაკიმემ და ანამ გადაწყვიტეს, რომ დადგა უამი მარიამის ტაძრად მიყვანისა. ტაძართან მათ მღვდელმთავარი გამოეგება: წმინდა გადმოცემის თანახმად, ეს იყო იოანე ნათლისმცემლის მომავალი მამა – მართალი ზაქარია. მან ღვთის საგანგებო შთაგონებით ბავშვი წმინდათაწმინდაში შეიყვანა, სადაც მღვდელმთავარსაც კი მხოლოდ წელიწადში ერთხელ ჰქონდა შესვლის უფლება. იმ წუთიდან იოაკიმეს და ანას ბავშვი ტაძრიდან აღარ წამოუყვანიათ. მარიამის ცხოვრება მთლიანად ღვთისმსახურებას დაუკავშირდა. ტაძარში ის წმინდა წერილს სწავლობდა და გამუდმებით ლოცულობდა, სხვა ქალწულებთან ერთად ხელსაქმობდა და სწეულებს ემსახურებოდა (pravenc.ru).

სწავლება ყოვლადწმინდა მარიამის დაბადების შესახებ

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შესახებ ქრისტიანული სწავლება ქრისტოლოგიური მოძღვრების ნაწილია. ის არც რაიმე დამოუკიდებელ მოძღვრებად და არც ანთროპოლოგიური კვლევის ცალკეულ საგნად არ არის გამოკვეთილი. 431 წელს

III მსოფლიო საეკლესიო კრებამ ერთხმად და საზეიმოდ აღიარა ყოვლადწმინდა ქალწულის ღვთისმშობლობა და ეს ტერმინი ქრისტოლოგიურ კონტექსტში განმტკიცდა, რადგან მხოლოდ ასეთი თვალსაზრისი იძლევა საშუალებას, სწორად იქნეს აღქმული კაცის ძედ განხორციელებული ღმერთის ძის ჰიპოსტასური ერთიანობა (ორი ბუნება, ერთი ჰიპოსტასი). ამრიგად, ღვთისმშობლისაგან შობილი ძე ერთდროულად და შეურევნელად ღმერთიც არის და ადამიანიც.

აათოლიკური დოგმატი ღვთისმშობლის უბიწო ჩასახვის შესახებ

ღვთისმშობლის თაყვანისცემა დასავლეთის ეკლესიაში ძველთაგან ტრადიციულ ჩარჩოებში მიმდინარეობდა, მაგრამ დროთა მანძილზე თავი ტიპურმა დასავლურმა მიდგომამ იჩინა. საბოლოოდ, ღვთისმშობლის თაყვანისცემასთან დაკავშირებით რომის კათოლიკური ეკლესიის მიერ მიღებულ იქნა ორი დოგმატი, რომლებიც თავისი შინაარსით მსოფლიო საეკლესიო კრებების სწავლებას დაუპირისპირდა და მნიშვნელოვნად გაართულა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ზოგადსაკაცობრიო მისიის შინაარსის შეცნობის შესაძლებლობა.

ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ ერთ-ერთ მათგანზე, რომელიც 1854 წელს იქნა მიღებული. მას ღვთისმშობლის უბიწო ჩასახვის დოგმატს უწოდებენ.

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ კათოლიკეები მაცხოვრის წმინდა ჩასახვასა და მარიამის უბიწო ჩასახვას ერთმანეთს არ უტოლებენ და არ ფიქრობენ, რომ მარიამის დაბადება და ქრისტეს შობა ერთმანეთის მსგავს მოვლენებად შეიძლება ჩაითვალოს.

მათ მიერ მიღებული დოგმატის მიხედვით მიჩნეულია: მიუხედავად იმისა, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი ისევე ჩვეულებრივად ჩაისახა და დაიბადა, როგორც ყოველი ადამიანი, იმის გამო, რომ იესო ქრისტეს ცოდვიდან გამომსყიდველი ქმედება უნდა განეხორციელებინა, მას (ღვთისმშობელს) ყველა ადამიანისაგან განსხვავებით თავიდანვე მიეცა პრივილეგია და პირველქმნილი, ანუ, ადამის ცოდვის შედეგებისაგან ჩასახვის მომენტიდან გათავისუფლდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დაიბადა ისეთ სრულყოფილ მდგომარეობაში, როგორშიც სამოთხეში ცოდვით დაცემამდე ადამი და ევა იყვნენ.




დოკუმენტში პირდაპირ არის ნათქვამი: „...ამ გამორჩეული მადლით ის ყველა სხვა ზეციურ და მიწიერ არსებაზე მეტად იღლებით უფრო მადლა დგას“ (LG. VIII 53).

ერთი შეხედვით, დოგმატი კეთილ მიზნებს ემსახურება, თითქოს მისი არსებობა ღვთისმშობლის თავყანისცემის საბაბს კიდევაც აძლიერებს და ხაზს უსვამს ჯერ კიდევ დაბადებამდე მასში არსებულ სიწმინდესა და გამორჩეულობას. შეგვიძლია ვთქვათ, ამ დოგმატს საფუძვლად უდევს წარმოდგენა, რომ საბოლოო სრულყოფილი განხორციელებისათვის ღვთაებრივ სიტყვას, ანუ იესო ქრისტეს, ესაჭიროებოდა მშობლის სრულყოფილი, ცოდვით შეუღალხავი ბუნება. ამიტომ ძე ღვთისამ განკაცებამდე და ჯვარცმამდე თავისი მომავალი მშობელი ყოვლადწმინდა მარიაში განამზადა და საყოველთაო ცოდვის ტყვეობიდან გაათავისუფლა.

არბუენებანი, რომლებითაც მარიოლოგიური დოგმატის დასაბუთებას ცდილობენ:

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის მარიოლოგიური დოგმატის დასაბუთებისათვის რომის კათოლიკური ეკლესია წმინდა წერილს იყენებს, კერძოდ: „მტრობას ჩამოვაგდებ შენსა და დედაკაცს შორის, შენს თესლსა და დედაკაცის თესლს შორის: ის თავს გიჭეჭყავდეს, შენ კი ქუსლს უგესლავდე!“ (დაბ. 3:15). სიტყვებში „დედაკაცის თესლს შორის“, მათი აზრით, იგულისხმება, რომ ღვთისმშობელი თავის ღვთაებრივ ძესთან ერთად უნდა დაუპირისპირდეს და დაამარცხოს გველი. აქედან გამომდინარე, მათ მიაჩნიათ, რომ თუ ღვთისმშობელში ადამის ცოდვა კვლავაც იმოქმედებდა, მაშინ ამ ბრძოლაში მისი მონაწილეობა არასრულფასოვანი იქნებოდა. სინამდვილეში კი წმინდა წერილი გვამცნობს: იესო ქრისტე განკაცდა და ადამიანური ბუნება, თავისი პიროვნული თვისებებით გამორჩეული დედისაგან – მარიამისაგან მიიღო. ხოლო სიტყვები: „დედაკაცის თესლი“ კი, უჭველად, ძე კაცისას, ანუ თვითონ იესო ქრისტეს და მომავალში მართლმორწმუნე ქრისტიანებს გულისხმობს.

შემდეგ ჩვენ ვხედავთ, რომ ღვთისმშობელი თავის დედობრივ მოვალეობას სამაგალითოდ ადასრულებს და თავისი სათნოებითა და სასოებით არა მხოლოდ მაცხოვრის, არამედ ყოველი ქრისტიანისა და მონანულის დედად წარმოგვიდგე-




ბა. იოანეს სახარებაში ყოველი მორწმუნის გასაგონად არის ნათქვამი: „ხოლო იესომ, როცა დაინახა დედა და იქვე მდგომი მოწაფე, რომელიც უყვარდა, უთხრა: დედაო, აჰა, შენი ძე. მერე კი მოწაფეს უთხრა: აჰა, დედაშენი“ (იოან. 19:26-27). ქრისტიანების საერთო დედა არ შეიძლება თავისი შვილებისაგან რაიმე გამორჩეული ზეადამიანური ნიჭით განსხვავდებოდეს (ეს უფრო ელიზურ წარმართობას მოგვაგონებს), თავისი შვილებისაგან განუყოფელობის გამო ქრისტიანთა დედანებისმიერ ზეადამიანურ ნიჭზე უარს იტყვობდა. ღვთისმშობელი მხოლოდ იესო ქრისტეს დედად არ დაბადებულა, მისი სახით ყოველ ქრისტიანს საერთო დედა გამოუჩნდა.

მარილოგიური დოგმატის მომხრეებს სხვა მტკიცებულებად მთავარანგელოზ გაბრიელის სიტყვები მოჰყავთ: „გიხაროდეს, მადლით მოსილო: უფალი შენთანაა; კურთხეული ხარ დედათა შორის“ (ლუკ. 1:28). საეჭვო არაა, ღმერთის მიერ მარიამის შერჩევა და მის ქალწულებრივ სხეულში ღმერთის ძის განკაცება უდიდესი მადლია.

დაბოლოს, არც ელისაბედის მისალმება: „კურთხეული ხარ დედათა შორის და კურთხეულია შენი მუცლის ნაყოფი!“ არ წარმოადგენს რაიმე უცნაურს, საკუთარ სხეულში განკაცებული ღმერთის მატარებელი ღვთისმშობლისათვის. კათოლიკური ეკლესიის ყველა ამ არგუმენტში აშკარად მოჩანს ბოლო დროს გაჩენილი ერთი ტენდენციის ანარეკლი: დასავლეთის ქრისტიანობა ფიქრობს, რომ ცოდვის შედეგი დაზიანებული ბუნება კი არ არის, არამედ მადლის დაკარგვაა, ანუ ცოდვით დაცემის შემდეგ, ღმერთი თავისი მადლით აღარ ასახრდობს ადამიანის ბუნებას. მართლმადიდებლობა კი მიიჩნევს, რომ ცოდვისაგან გათავისუფლებისათვის ბრძოლა ყოველი ქრისტიანის ვალია და ამ ბრძოლაში უფალი მადლს არავის მოაკლებს. არქიეპისკოპოს სერგის (სტროგოროდელი) სიტყვებით რომ ვთქვათ: „ღმერთი კი არ შორდება ადამიანს, არამედ, ღმრთისაგან ადამიანს ცოდვა განაშორებს“.

მარილოგიური დოგმატურ სწავლებაში არსებული
სხვა შეუსაბამობანი


უწინარეს ყოვლისა, დოგმატი უბიწო ჩასახვის შესახებ პირდაპირ ეწინააღმდეგება მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა



გადმოცემას, რომლის მიხედვითაც ღვთისმშობელმა თავისი მიწიერი ცხოვრება ჩვეულებრივი ადამიანური სიკვდილით დაასრულა. ამ მოვლენას ეკლესია მიძინების დღესასწაულით აღნიშნავს. სიკვდილი კი პირველქმნილი, ანუ, ადამის მიერ განხორციელებული ცოდვის პირდაპირი შედეგია. დაწერილია: „ვინაიდან როგორც ერთი კაცის მიერ შემოვიდა ცოდვა ამ ქვეყნად, ცოდვის მიერ კი – სიკვდილი, ისე სიკვდილიც გადავიდა ყველა კაცში, რადგანაც ყველამ სცოდა“ (რომ. 5:12). შესაბამისად, ღვთისმშობლის სიკვდილი უდავოდ მოწმობს, რომ ადამის ცოდვისაგან ის თავისუფალი არ იყო.

მეორე მხრივ, ეს დოგმატი წინააღმდეგობაშია სწავლებასთან გამომსყიდველი მსხვერპლის შესახებ. თუ მიზანშეწონილი იყო გარკვეული პრივილეგიის მინიჭება და მაცხოვრის მიერ მსხვერპლის გაღებამდე შეიძლებოდა ცალკეული პიროვნებების ცოდვიდან გამოსყიდვა, მაშინ ეს პრივილეგია რატომ არ ვრცელდებოდა სხვა, მაგალითად, ძველი აღთქმის პერიოდში მოღვაწე წმინდანებზე? მაცხოვრის ხორციელ წინაპრებზე? თუ შესაძლებელია, ერთი ადამიანი გათავისუფლდეს ადამის ცოდვისაგან, რატომ არ შეიძლებოდა ძველი აღთქმის დროინდელი ყველა წმინდანი გათავისუფლებულიყო? რატომ უნდა ჩასულიყვნენ ისინი ჯოჯოხეთში? წინასწარმეტყველი და მაცხოვრის წინამორბედი იოანე ნათლისმცემელი კაცობრიობას მოველინა და ცოდვის ტყვეობიდან გათავისუფლების სახარება ახარა, მაგრამ შესაბამის დრომდე ჯოჯოხეთიდან ვერ გათავისუფლდა.


ეკლესიური სწავლება ყოველთვის ქადაგებდა, რომ ღმერთი ჩვენთვის გარდამოხდა ზეცით და ჩვენი ცხოვრებისათვის განკაცდა; ჩვენი გადარჩენისათვის ეცვა ჯვარს, ივნო და დაეფლა; მესამე დღეს ჩვენი აღდგომისათვის აღსდგა და თავისი წმინდა სხეულით ზეცად ამაღლდა. ადამიანის გადარჩენა და განდმრთობა მხოლოდ ამ მოვლენების შემდეგ გახდა შესაძლებელი. გამოდის, რომ კათოლიკური დოგმატი უბიწო ჩასახვის შესახებ, გაერთიანების ნაცვლად, ყოფს ადამიანებს, ერთმანეთისაგან აშორიშორებს და მაცხოვრის ჭეშმარიტი ადამიანური ბუნებით განკაცების საკითხს საეჭვოდ ხდის. მრავალი წმინდა მამა იყენებს და იმეორებს წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვებს: „ის, რაც არ არის შეთვისებული, ვერ იქნება განკურნებული“. იმისათვის, რათა იესო ქრისტეს



ყოველი ადამიანისათვის გადარჩენის შესაძლებლობა მიეცა, იგი სრულ ადამიანად უნდა განხორციელდეს, რომლისთვისაც, როგორც ღმერთ-კაცისთვის, უცხო იყო ცოდვა.

მაცხოვრის მიერ შეთვისებული ადამიანური ბუნების შესახებ წმინდა იოანე დამასკელი წერს: „ვადიარებთ, რომ უფალმა მიიღო ყველა ბუნებისეული და უყვედრელი ვნებულება, რადგან მიიღო მან მთლიანი ადამიანი და ყოველივე ადამიანისეული, გარდა ცოდვისა, რამეთუ ეს უკანასკნელი არის არა ბუნებისეული, არა შემოქმედისგან ჩვენში შთათესილი, არამედ ეშმაკისეული დამთესველობის შედეგად ჩვენს თვითუფლებრივ არჩევანში ნებაყოფლობით შემყარებული და არა ძალადობით ჩვენი დამპყრობი. ბუნებისეულია და უყვედრელი ის ვნებულებანი, რაც ჩვენზე არ არის დამოკიდებული და რაც ადამიანურ ყოფაში შემოვიდა იმ სასჯელისგან გამომდინარე, გარდასვლას რომ მოჰყვა. ასეთებია: შიმშილი, წყურვილი, დაშრომა, ჯაფა, ცრემლი, ხრწნადობა, სიკვდილისგან გარიდება, შიში, ურვა (რისგანაც არის ოფლი, სისხლის კოლტები), ბუნების უძღურების გამო ანგელოზთაგან შემწეობა და სხვა ამგვარი, რაც თავისთავად არის ყველა ჩვეულებრივ ადამიანში. ამრიგად, ყოველივე მიიღო ქრისტემ, რომ ყოველივე განეკურნა. გამოიცადა და სძლია მან, რომ ჩვენთვის მძლეობა მოემუშაკებინა და რომ ჩვენი ბუნებისთვის მოწინააღმდეგის დასაძლევნი ძალა მიეცა, რათა ბუნებას, ძველთაგან ძლეულს, სწორედ იმავე შეტევებით, რითაც დაძლეულ იქნა, დაეძლია ძველთაგან მისი მძლეველი“ (წმინდა იოანე დამასკელი, მართლმადიდებელი სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თავი სამოცდამოთხე (orthodoxy.ge)). ამ ადამიანური უძღურებებით განვლო იესო ქრისტემ თავისი გზა დაბადებიდან ჯვარცმამდე. ჯვარცმა კი დაცემული ადამიანური ბუნების გამოხსენისა და განკურნებისათვის განხორციელდა.

არსებობს სხვა მიზეზიც, რისთვისაც მართლმადიდებელი ეკლესია ამ დოგმატს მართებულად ვერ ჩათვლის: ძველი აღთქმის ისტორია არის ამბავი იმის შესახებ, რომ ადამიანმა სამოთხიდან განდევნისთანავე მამამთავრებისა და წმინდა ადამიანების მიბაძვით, ღვთისკენ სწრაფვა დაიწყო; ეს პროცესი თანმიმდევრულად განვითარდა და იმ პიროვნებამდე მივიდა, რომელშიც მთელი კაცობრიობის სიწმინდე არა როგორც საჩუქარი, არამედ როგორც პიროვნული ღვაწლი



უნდა გამოვლენილიყო. დოგმატის კათოლიკური ვარიანტი კი მთელ ამ მოლოდინს, დაშვრომასა და თავდადებას უახლოვლებს ბად აქცევს. გამოდის, რომ უბიწობა ნებისმიერ ადამიანს შეიძლება მიანიჭებოდეს; ყოველგვარ აზრს კარგავს ძველი აღთქმა, მთლიანად კაცთა მოღვმისა და ყოველი კერძო პიროვნების უფალთან შეხვედრის სამზადისი.

მართლმადიდებლური სწავლება ღვთისმშობლის ლაზარების შესახებ

როგორც უკვე აღინიშნა, სწავლება ღვთისმშობლის შესახებ უწინარეს ყოვლისა, ქრისტოლოგიურ მოძღვრებას ეფუძნება და უფლის განკაცებისა და ადამის შთამომავლობის გამოსნის პროცესისგან განყენებულად არც ერთ შემთხვევაში არ განიხილება.

პირველი თავისებურება ადამიანის მიერ მაცხოვართან შესახვედრად გამოვლილ გზასა და სამზადისს გულისხმობს. ძველი აღთქმის წიგნებით გადმოცემულ ღვთისმეტყველებაში მუდმივად გამოსჭვივის გადორჩეული ადამიანების წარმოჩინების იდეა: ამ პროცესს თანმიმდევრულად თუ განვიხილავთ, დავინახავთ, რომ შეირჩა ნოე, აბრაამის შთამომავლობა, შემდეგ ისრაელი – როგორც ხალხი, ხალხიდან – იუდეველთა ტომი, ამ ტომიდან – „დავითის სახლი“. „არჩეული წრე ნელ-ნელა შევიწროვდა... და გამოიკვეთა მისი უკანასკნელი, უმაღლესი რჩეული წევრი – ყოველდღე მინდა მარიამი. მისთვის განხორციელდა მთელი ეს წინასამზადისი, რადგან სწორედ მას უნდა „გაეცა“ თავისი ადამიანური ბუნება, რათა განკაცების საიდუმლო მასშივე განხორციელებულიყო“ (გ. ლოსკი, „დოგმატური ღვთისმეტყველება“). ამრიგად, არ შეიძლება ქალწული მარიამი არც ისტორიისა და არც მაცხოვრის მოლოდინში მყოფი ადამის შთამომავლობისგან იზოლირებულად დავინახოთ. ღმერთის განკაცებისა და ამ გზით კაცობრიობის გამოსნის განგებულებაში მას თავისი გადორჩეული ადგილი უკავია. ღვთისმშობლის სიდიადე იმაში მდგომარეობს, – ბრძანებს წმინდა გრიგოლი პალამა, – რომ მისი პიროვნება, კაცობრიობის თანმიმდევრული განვითარებისა და განწმენდის შედეგია. პროცესი ძველი აღთქმის მრავალ თაობაში მიმდინარეობდა და საბოლოო სახე წმინდა ქალწულ მარიამში მიიღო (Greg. Pal. In Praesent. 8, 11, 32).

მართლმადიდებლური ღვთისმეტყველება ერთმნიშვნელოვნად ამტკიცებს, რომ ეს არც იძულებითი და არც მექანიკური პროცესი არ ყოფილა. მარიამის სიწმინდეში სრულად გამოვლინდა როგორც პიროვნული, ისე მისი წინაპრების თავისუფალი ნება. ამასთან, ყოვლადწმინდა მარიამის სიწმინდე მისი წმინდა ცხოვრებისა და ღრმა პიროვნული რწმენის შედეგია. ადამიანის თავისუფალი ნება გამომხსნელობითი ღვაწლის იმდენად მნიშვნელოვანი პრინციპია რომ, როდესაც ღმერთის განკაცების დრო დადგა, ეს პრინციპი მაშინაც კი არ დაირღვა. „ძის განკაცება, არა მხოლოდ მამა ღმერთის, მისი ძისა და სულის საქმე იყო, არამედ ის ღვთისმშობლის რწმენის საქმესაც წარმოადგენდა, – აღნიშნავს წმინდა ნიკოლოზ კავასილა. ...რადგან მისი ყოვლადწმინდა ნებისა და სასოების გარეშე წმინდა სამების განგებულება არ განხორციელდებოდა. ღმერთის მხოლოდშობილი ძე კაცთაგან თავისი სიწმინდით გამორჩეულ ადამიანს უნდა ეშვა და კაცობრიობის გადარჩენა სწორედ ასეთი ადამიანის ნებას უნდა დაკავშირებოდა. იესო ქრისტეს ადამიანური ბუნება იმ წმინდა პიროვნებისაგან უნდა მიეღო, ვისაც ამ მოვლენის შესახებ წინასწარ ეცნობებოდა, ვინც შეძლებდა ეს საოცრება გაეცნობიერებინა და თანხმობის გადაწყვეტილება თავისი ნებულობით მიეღო. ღვთისა და ადამიანის თანამნებებლობის შესახებ წმინდა იოანე დამასკელი ბრძანებს: „მას შემდეგ, რაც წმინდა ქალწულმა თავისი კეთილი ნება გამოავლინა, ანგელოზისგან გამოთქმული ღმერთის სიტყვის შესაბამისად, მასზედ სულიწმინდა გადმოვიდა, განწმინდა იგი და მას ღვთის სიტყვის მიღებისა და მშობლობის ძალა მიანიჭა“ (Ioan. Damasc. De fide orth. III 2). თუ გავითვალისწინებთ, რომ წმინდა მარიამი ღვთისმშობლად ადამის მთელი შთამომავლობიდან იყო შერჩეული, დავინახავთ, რომ ღვთის განკაცების უამს მან თავის ხატში სრულიად კაცობრიობა გამოაჩინა და სიტყვებში: „აჰა, მხევალი უფლისა! მეყოს მე შენი სიტყვისამებრ!“ (ლუკ. 1:38) კაცთა მოდგმის სახელით გამოხატა ღვთის ნების აღსრულებისათვის მზადყოფნა. ამ სიტყვებში პირველად გამოვლინდა, რომ ადამიანი უკვე განემზადა ღვთისმოსაობის საიდუმლოსთან შესახვედრად და ღმერთი ხორციით მხოლოდ ამის შემდეგ გამოჩნდა (1 ტიმ. 3:16).

ორი წერილის ფრაგმენტი მარადისქალწული მარიამის შესახებ



*პროტოპრესვიტერი გიორგი ფლოროვსკი.
„მართლმადიდებლური სწავლება ღვთისმშობლის
მარადქალწულებაზე“*

დოგმატური სწავლება ჩვენი მეოხის, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შესახებ მის ორ სახელში: ღვთისმშობელსა (Theotokos) და მარადისქალწულშია (Aiparthenos) ასახული. ორივე სახელმა მსოფლიო საეკლესიო კრებებზე მოიპოვა აღიარება. ეს დოგმატი ასევე საეკლესიო წმინდა გადმოცემის განუყოფელი ნაწილია. მაცხოვრის ქალწულისაგან განკაცების შესახებ ახალი აღთქმა პირდაპირ მიგვითითებს. მრწამსში იესო ქრისტეს შესახებ წერია: „ხორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა, და განკაცდა“. ეს მხოლოდ ისტორიული ფაქტის კონსტატაცია არ არის, ეს რწმენის პირდაპირი აღსარებაა. სახელი „მარადისქალწული“ მეხუთე მსოფლიო კრებაზე (553 წელს) იქნა მიღებული და „ღვთისმშობელი“ – უფრო მეტია, ვიდრე ქებისა ან რაიმე დიდების აღმნიშვნელი სიტყვა. ეს არის ქრისტიანობის ერთ სიტყვაში მოცემული დოგმატური შინაარსი. 431 წლამდე, ეფესოს კრებამდე კი, ქრისტიანულ სამყაროში სიტყვა „ღვთისმშობლის“ აღსარება, ჭეშმარიტი ქრისტიანობის ნიშანი იყო.

გრიგოლ ღვთისმეტყველი ასე აფრთხილებს კლიდონიას: „ვინც მარიამს ღვთისმშობლად არ აღიარებს, ის ღვთისათვის უცხოა“ (Epist. 101). ყოვლადწმინდა მარიამის ამ სახელით ხშირად სარგებლობენ მეოთხე საუკუნის და სავარაუდოდ მესამე საუკუნის მამებიც, მაგალითად, თუ დავუჯერებთ სოკრატე სქოლასტიკოსს, ასეთ მამათა შორის ორიგენიც იყო (Hist. Eccl. 7, 32). ნესტორი და მისი მომხრეები კი ქრისტიანულ აზროვნებაში, უკვე ტრადიციად დამკვიდრებულ ამ ტერმინის უარყოფას ცდილობდნენ.

სიტყვა „ღვთისმშობელი“ (Theotokos) წმინდა წერილში არ გვხვდება, ასევე ვერსად ამოვიკითხავთ სიტყვას „ერთარსი“ (omousios). ნიკეასა და ეფესოს კრებებზე მათ მოწვევამდე რაიმე არ არსებული და გაუცნობიერებელი ტერმინოლოგიური

სიახლე არ შემოუტანიათ და არ დაუმკვიდრებიათ. ეკლესიურ აზროვნებაში „ახალი“, „არაბიბლიური“ ტერმინები და მათ შორის ეს სიტყვები თავისთავად გაჩნდა და იმის გამო დამკვიდრდა, რომ მათში წმინდა მარიამის შესახებ ეკლესიის დასაბამიდანვე არსებული სწავლება ასახულიყო. სამართლიანი იქნება, თუ ვიტყვით, რომ მესამე მსოფლიო კრება (431 წელი, ეფესო) ძირითადად ქრისტოლოგიური საკითხებით იყო დაკავებული და მარიოლოგიურ საკითხებს არც კი შეხებია. სწორედ ისაა საინტერესო, რომ, მიუხედავად ამისა, კრების განმასხვავებელ ნიშნად და მართლმადიდებლური ქრისტოლოგიის ერთგვარ თავისებურებად, ქრისტოლოგიის საკვანძო სიტყვად „ღვთისმშობელი“ აღმოჩნდა. „სამართლიანად და ჭეშმარიტად ვუწოდებთ წმინდა მარიამს ღვთისმშობელს, – ბრძანებს წმინდა იოანე დამასკელი, – რადგან ეს სახელი მთელი განგებულების საიდუმლოს წარმოაჩენს. მართლაც, თუ მშობელი ღვთისმშობელია, უთუოდ ღმერთია მისგან შობილი და, ამასთან – უთუოდ კაციც“ (Orthodoxy.ge, თავი ორმოცდამეთექვსმეტე). პეტავიას მარჯვე ფორმულირებით რომ ვთქვათ: „რამდენადაც წმინდა სამების დოგმატის განმარტებისას, გამოყენებადი და პირველადია სიტყვა „ერთარსი,“ იმდენადვე მნიშვნელოვანია სიტყვა „ღვთისმშობელი“ ღვთის განკაცების ახსნისას (De incarnatione V, 15). ძნელად მისახვედრი არაა, რატომ ენიჭება ამ ტერმინის შინაარსს ასეთი დიდი მნიშვნელობა. ქრისტოლოგიური სწავლება, რომელიც არ მოიცავს მოძღვრებას იესო ქრისტეს ყოვლადწმინდა დედის შესახებ, ვერასოდეს მივა ქრისტიანული მოძღვრების სწორ განმარტებამდე. სწორედ ამიტომ, ჩვენ სინამდვილეში ღვთისმშობელთან დაკავშირებული ყველა დავა და გაუგებრობა, ქრისტოლოგიური აზროვნების ცენტრში იყრის თავს და საბოლოოდ მწვავე „ქრისტოლოგიური კონფლიქტის“ სახეს იღებს.

„ნაკლულევან ქრისტოლოგიაში“ მაცხოვრის მშობლის ადგილი აღარ რჩება. მაგალითად: ყველასათვის ნათელია, რომ ღვთისმშობლის შესახებ არაფერი აქვთ სათქმელი პროტესტანტ ღვთისმეტყველებს. მეორე მხრივ, ისიც არ იწვევს ეჭვს, რომ ვინც დედას ვერ შენიშნავს, შვილის დანახვაც გაუჭირდება. სხვაგვარადაც შეიძლება ითქვას, ყოვლადწმინდა ქალწულის პიროვნების ღვთიეკურთხეულობის აღქმა მხოლოდ

იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მას ქრისტოლოგიურ კონტექსტში განვიხილავთ. მარიოლოგია არ არის დამოუკიდებელი სწავლება, ის მხოლოდ იმ ტრაქტატის ერთი თავია, რომელშიც ღვთის განკაცებასთან დაკავშირებული საკითხებია გადმოცემული. ამავე დროს, ის ისეთი მნიშვნელოვანი ნაწილია, რომლის გარეშეც ამ ტრაქტატის არსებობა პრაქტიკულად შეუძლებელია. მარიოლოგია ქრისტიანული სწავლების არსშია განთავსებული. დედის გარეშე განკაცებული ძის საიდუმლოს გაგება შეუძლებელია. უფლის ზოგიერთი მაძიებელი ქრისტოლოგიური კვლევის ამ ნაკლულობის შევსებას უზომო თაყვანისცემითა და მის პიროვნებასთან დაკავშირებული სასწაულებისა და თვითმიკვლეული სულიერი ღირებულებებით ცდილობს. ამ ადამიანებს ავიწყდებათ, რომ დოგმატი რაიმე ნაკლმა ზეგავლენა არ უნდა მოახდინოს, დოგმატი მკვლევარს არ უნდა მოერგოს. ამავე დროს, დოგმატი საღვთო გამოცხადებით განცხადდება. სწორედ ამიტომ ეკლესიურ სწავლებაში მარიოლოგიურ ნაწილს თავისი ბუნებრივი ადგილი უკავია. ეკლესიური დოგმატი ეს არის მოძღვრება „სრულ ღმერთზე – ჭეშმარიტების სათავეზე“.

ღვთისმშობლის ღმერთთან ურთიერთობის შინაგანი გამოცდილება ჩვენთვის დაფარულია. უფრო მეტიც, თავისი ბუნებით ეს გამოცდილება ჩვეულებრივი ადამიანისათვის პრაქტიკულად მიუწვდომელია. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ყოვლადწმინდა ქალწულის სულის საიდუმლო. ამიტომ, როდესაც ეკლესია წმინდა მარიამის შესახებ ქადაგებს, ძირითადად ჰიმნოგრაფიაში მოქცეულ ანტინომიურ სახეებსა და მეტაფორებს მიმართავს.

ჩვენ არც საჭიროება და არც მიზეზი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მადლის „სავსება“ არითმეტიკულად გამოითვლება და სრულყოფილების ყველა შესაძლებელი ვარიანტებისა და მრავალფეროვანი სულიერი ნიჭების ჯამად წარმოგვიდგება. მადლის სავსება ყოვლადწმინდა მარიამისთვის იყო და „სავსებაში“ თვითონ ღვთისმშობელი იგულისხმება. ეს განსაკუთრებული მადლია, ეს არის ღმერთის დედობის, ქალწულდედობისა და „უსძლო სძლობის“ მადლი. ცხადია, წმინდა მარიამს საკუთარი სულიერი გზა გააჩნდა და ეს გზა ღვთის მიერ მოცემულ მადლში სრულყოფის გზა იყო. მთელი შინაარსი განგებულების საიდუმლოსი ღვთის კურთხეულ დედაში ნელა

და თანმიმდევრობით იხსნებოდა. ბოლოს ღვთისმშობელმა თავისი შვილის – იესო ქრისტეს ჯვარცმაც იხილა. ამის შესახებაა დაწერილი: „და თვით შენც სულში გაგივლის მახვილი“ (ლუკ. 2:35).

ნათელი მხოლოდ აღდგომის შემდეგ გამობრწყინდა. ამ დრომდე იესო ქრისტე ჯერ კიდევ არ იყო განდიდებული. ამადლების შემდეგ ყოვლადწმინდა ქალწულს მოციქულთა გვერდით ვხედავთ. უდაოა: უფლის ანგელოზის ჩვენებამ, საოცარი საიდუმლოს შესახებ ხარებამ და ამ საიდუმლოს აღსრულებამ ღვთისმშობელზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, ამ გრძნობებს იგი მთელი ცხოვრების მანძილზე გულთა დაატარებდა. განა სხვანაირად იყო შესაძლებელი? კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ მისი ღმერთთან ურთიერთობის შინაგანი გამოცდილება ჩვენთვის ამოუცნობი რჩება. მაგრამ, თუ კეთილგონივრულ ძიებაზე საბოლოოდ ვიტყვით უარს, ეს თვითონ საიდუმლოზე უარის თქმა იქნება. დაწერილია: „ხოლო მარიამი იმასსოვრებდა თითოეულ მათ სიტყვას და გულში იმარხავდა“ (ლუკ. 2:19). მთელი მისი შინაგანი ცხოვრება ამ მოვლენებით იყო განმსჭვალული.

როგორც ღვთის განკაცების, ისე ღვთისმშობლის პირადი ცხოვრების საიდუმლო, მისი ადამიანური მდგომარეობა ამ ქვეყანაზე უნიკალური და გამორჩეულია. ღვთისმშობელი თავისი პირადი თვისებებით ამ მდგომარეობის შესაბამისი უნდა ყოფილიყო. აქედან შეგვიძლია დავიწყოთ ფიქრი მის ისეთ სრულყოფილებაზე, რომელიც შემდგომში „მარადის-ქალწულებად“ შეირაცხა. წმინდა მარიამი – ქალწულია. ქალწულება მხოლოდ ფიზიკური მდგომარეობა არ არის. ეს უწინარეს ყოვლისა გამორჩეული მსოფლმხედველობაა, რის გარეშეც ფიზიკური ქალწულება არაფრის მომტანი არ იქნებოდა. სახელი მარადისქალწული, რა თქმა უნდა, მხოლოდ ფიზიოლოგიურ თავისებურებებს არ შეეხება. ის არც მხოლოდ დაბადებით ქალწულებასა და არც შემდგომში ქალწულების შენარჩუნებას არ გულისხმობს. ის სულიერ ცხოვრებაში, გონებისა და გულის ბოროტებისკენ მიქცევას გამორიცხავს. ფიზიკური ქალწულება სულიერი სრულყოფილების გარეგნული მხარეა. დაწერილია: „ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ.“

ქალწულება გრძნობებისაგან თავისუფალი მდგომარეობაა,

K282.621
3



ეს არის ჭეშმარიტი უვნებლობა, რომლითაც განისაზღვრება ცხოვრების სულიერი არსი. ეს არის შეგრძნებებისაგან, ცდუნებებისაგან, „მიდრეკილებებისაგან“ (epithimia) და ენუ-ებლიედ გაჩენილი „აზრებისაგან“ თავისუფლება. წამალი მის სული მხოლოდ ღმერთისკენ და მხოლოდ მისი მსახურებისაკენ მიილტვის. ყველა მისი მოსაზრება და სურვილი ღმერთს უკავშირდება, მისთვის უცხოა ვნებები (thimos). ის გონითაც, სულითაც და სხეულითაც ქალწულია (Hom. 6 in Nativitatem B. V. Mariae, 9 et 5; PG 96 676 A et 668C). ეს არის საკუთარი პიროვნებისა და ცხოვრების ღვთისადმი მიძღვნა. იყო „ღვთის სრული მონა“ – მარადისქალწულებასა და ხორციელი ნების უქონლობის ტოლფასია. ამავე დროს, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სულიერი ქალწულება უცოდველობაა – მაგრამ „სრულყოფილება“ და ვნებებისაგან საბოლოოდ შეუზღუდველობა მაინც არ არის.

როგორც ჩანს, რაღაც თვალსაზრისით ღვთისმშობელსაც ებრძოდა მაცდური, მაგრამ თავისი მტკიცე რწმენითა და ღვთის სიყვარულით, ამ ბრძოლიდან ის ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. ეს ასე ხდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ჩვეულებრივი, მიწიერი დედობრივი სიყვარული ბავშვისათვის სულიერ თავგანწირვად და საკუთარი პიროვნების მსხვერპლშეწირვად გადაიქცევა. რა თქმა უნდა, წმ. მარიამს თავისი ძე სხვა დედაზე ნაკლებად არ უყვარდა. ღვთისმშობელმა იცოდა, რომ მისი შვილი „დიდი იქნება და უზენაესის ძედ იწოდება, და მისცემს ღმერთი მამამისის, დავითის, ტახტს“ (ლუკ. 1:32). ყოვლადწმინდა მარიამის შვილი „მომავალი“ მესიაა (ლუკ. 7:19). ის ღვთის რწმენასა და აღსარებას ღვთის დიდების ჰიმნში გამოხატავს (ლუკ. 1:46-55). არ შეიძლება უფლის კურთხეულ დედას არ განეცადა ის, რაც მასში ხდებოდა. მაგრამ მომხდარის შინაარსს, გონებით არა ერთბაშად, არამედ დროთა სვლაში, თანმიმდევრულად შეიმეცნებდა. ღვთისმშობელი ღვთაებრივ საიდუმლო აღთქმას გულში რუდუნებით ატარებდა. მისთვის ერთადერთი გზა არსებობდა, ის ერთადერთი აზრით იყო განმსჭვალული, ეს აზრი იყო ღვთის მორჩილება, იმ ერთადერთი ღმერთის სრული მორჩილება, რომელმაც „მოხედა თავისი მხევლის სიმდაბლეს“ (ლუკ. 1:48) და დიდი სიკეთე შესძინა მას „ყოვლადძლიერმა“ (ლუკ. 1:49). პაველე მოციქული ასე აღწერს ქალ-

წულების მშვენიერებას: „ქალწული უქორწინებელი იგი ზრუნავს უფლისასა, რათა იყოს წმიდა ხორცითაცა და სულითაცა“ (1 კორ. 7:34). ასეთი ქალწულობის მწვერვლი ყოვლადწმინდა, ყოვლადუბიწო და მარადისქალწულის სრულყოფილებაა.

ჰავლე მალაოვი. „მართლმადიდებლური სწავლება ღვთისმშობლის მარადისქალწულებაზე“

ყოვლადწმინდა მარიაში მარადისქალწულია. ეს ნიშნავს, რომ ის ქალწული იყო იესო ქრისტეს დაბადებამდე, დაბადების დროს, დაბადების შემდეგ და სიცოცხლის ბოლომდე ქალწულად დარჩა. „მამა ღმერთისგან ძე ღმერთის დაუსაბამო შობა უბიწოა, ამიტომაც – წერს წმინდა ამბროსი მედიოლანელი, – მეორედ შობა ყოვლადწმინდა ქალწულისაგან უნდა ყოფილიყო. დაწერილია: მამისაგან ძე ღმერთი, ანუ მოქმედი სიტყვა უწინარეს ყოველთა საუკუნეთა იშვა. ამიტომ იესო როგორც პირველი ღვთაებრივი შობის შედეგად იყო უბიწო, ძე კაცადაც ასეთივედ უნდა დაბადებულიყო“ (Амвросий медиоланский, свт слово на рождество Христово ХС1846. Ч. 4. С. 350-351). უფლის ქალწულისაგან განკაცების აუცილებლობა წარმოიქმნება, როდესაც მეორე ადამს, ანუ იესო ქრისტეს, პირველქმნილ ადამიანს - ადამს ვადარებთ. ამ მიზნის განსახორციელებლად „შემოქმედისათვის კაცთა შორის დედის გამორჩევა იყო საჭირო. რადგან ადამიანის დაცემულობის აღმოფხვრა და მასში უბიწობის აღდგენა მხოლოდ ამ გზით იყო შესაძლებელი, – წერს წმინდა მოწამე, კონსტანტინეპოლელი პატრიარქი ფოტიოსი, – ისევე, როგორც პირველი ადამიანი ქალწულებრივი უთესლო მიწისაგან შეიქმნა, მისი აღდგენაც ქალწულისაგან შობით უნდა განხორციელებულიყო“.

ღვთისმშობლის შესახებ ძველი აღთქმის წიგნებში დაცული სწავლება ჯერ კიდევ მოციქულთა მოღვაწეობის დროს იყო აღიარებული. „შეუძლებელია, – წერს ნეტარი იერონიმე სტრიდონელი ელვიდიოსის წინააღმდეგ, – წარმოვიდგინო მთელი რიგი ძველი მწერლისა, მათ შორის: ეგნატე, პოლიკარპე, ირინეოსი, იუსტინე მოწამე და სხვა მრავალი მოციქული და სწავლული მამა, რომლებიც ევიონისა და თეოდოტეს, ბიზან-


ტისა და ვალენტინეს წინააღმდეგ ყოვლადწმინდა მარიამის მარადის ქალწულობის შესახებ სიბრძნით აღსავსე თხზულებებს წერდნენ“ (Hieron. De virgin. 17). ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ნეტარი იერონიმე მარიამის ქალწულებას იესო ქრისტეს უბიწობის კონტექსტში განიხილავს. „ქრისტე, – აღნიშნავს იგი, – ქალწულია; და დედა ამ უბიწო ძისა მარადის ქალწულია – დედაც არის და ქალწულიცა“ (Hieron. Ep. 48). სწავლებამ ღვთისმშობლის მარადის ქალწულობის შესახებ მთელ საქრისტიანოში საყოველთაო სახე მიიღო. „ვინმეს სადმე თუ მოუხსენიებია წმინდა მარიამის სახელი და თუ ყოფილა შემთხვევა, რომ მევედრებელს ღოცვა ქალწულის მიმართ არ აღუვლენია? – კითხულობს წმინდა ეპიფანე კვიპრელი და განაგრძობს: სწორედ დამატებით სახელდებაში ვლინდება ადამიანის სრულყოფილების ნიშნები... ასე მაგალითად: აბრაამი „ღვთის მეგობრად იწოდა“ (იაკ. 2:23) და ეს სამარადეამო აღმოჩნდა; იაკობს ეწოდა „ისრაელი“ (დაბ. 32:28), ასევე თაობიდან თაობაში უცვლელად გადადის იგი; მოციქულებს – „იაკობს ზებედესას და იაკობის ძმას იოანეს უწოდა ბანერგეს, რაც ნიშნავს: ქუხილის ძენი“ (მარკ. 3:17) და ასევე იწოდებიან; წმინდა მარიამს კი „ქალწული“ ჰქვია და ეს სახელი არ შეიცვლება, რადგან ის მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე უბიწო იყო“ (Epiph. Adv. haer.).

მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანულ სამყაროში სწავლება ყოვლადწმინდა მარიამის შესახებ საყოველთაოდ იყო გავრცელებული, ეკლესიის ისტორიაში იყო შემთხვევები, როდესაც ეს სწავლება სათუო ხდებოდა ან საერთოდ უარს ამბობდნენ მის აღიარებაზე. რაციონალისტი კრიტიკოსები არ იღებდნენ ჭეშმარიტებას ასეთი სახით, ისინი უარყოფდნენ ისეთ სასწაულს, რომლის შესახებაც ნათქვამია ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების კონდაკში: „ღვთისმშობელიო, სამარეჲმან და სიკუდილმან ვერ დაგაბრკოლნეს“. სხვა შემთხვევაში წმ. მარიამის მარადისქალწულობის ურწმუნოების მიზეზი ახალი აღთქმის ზოგიერთი ადგილის მცდარი ინტერპრეტირება ხდებოდა. კერძოდ, წმინდა წერილში მარიამ ღვთისმშობელის მიმართ იესო ქრისტეს გამოყენებული აქვს სიტყვა „დედაკაცო“ (იოან. 2:4; 19:26). ამ სიტყვას წმინდა ამბროსი მედიოლანელი შემდეგნაირად განმარტავს: „რატომ

უნდა გვაბრკოლებდეს სიტყვა „დედაკაცო“? ეს სიტყვა სქესის და არა უბიწობის აღნიშვნისათვის გამოიყენება. ჭეშმარიტების უარყოფა, ჩვეულებრივ, ყოფითი შინაარსის მატარებელი სიტყვის გამოყენებით შეუძლებელია“ (Ambros. Mediol. De instit. Virgin. 5). სიტყვა „დედაკაცოს“ ანალოგიურად განმარტავს ღირსი ისიდორე პელუსიელი: „მოციქულმა პავლემ თქვა: „... დედაკაცი“, რათა სქესი აღენიშნა, რადგან რაგინდ უბიწო იყოს – ქალწულიც დედაკაცად იწოდება; დედაკაცად – გარეგნულად, უბიწოც რომ იყოს; დედაკაცად ბუნებით – მამაკაციც რომ არ ჰყავდეს შეცნობილი. სიტყვა დედაკაცი მიზანმიმართულად და რაიმე კონკრეტული თავისებურების გამომხატველად რომ არ გამოიყენება, ამაზე იგივე პავლე მოციქული მიგვითითებს, რადგან ქალწულისაგან შობილ მაცხოვარს, როგორც: „შობილს დედაკაცისაგან“ (გალ. 4:4) მოიხსენიებს. რას სჩადი, პავლე! ქალწულს „დედაკაცად“ მოიხსენიებ? – კითხულობს ღირსი ისიდორე და მოციქულის სახელით თავადვე პასუხობს: – კი... რადგან ბუნებას ვგულისხმობ და „დედაკაცად“ მოვიხსენიებ, გონით კი ვიცი, რომ ქალწულია, რადგან ქალწული, მიუხედავად იმისა, რომ გაუთხოვარია, დედაკაცია – დედაკაცია ფიზიკურად, ხოლო ქალწულია უბიწობითა და სიწმინდით“ (Isid. Pelus. Ep. II 266).

მცდარი ან დამახინჯებული განმარტების ობიექტი ხშირად მათეს სახარების ფრაგმენტი ხდება: „გამოიღვიძა იოსებმა ძილისგან და ისე მოიქცა, როგორც უბრძანა ანგელოზმა უფლისა, და მოიყვანა თავისი ცოლი. და არ უცვნია იგი, ვიდრე არა შვა ძე თვისი პირმშო, და უწოდა სახელი მისი იესო“ (მათ. 1:24-25). ბასილი დიდი აღნიშნავს: „ვიდრე არა შვა ძე თვისი პირმშო“ ზოგიერთს აფიქრებინებს, რომ დროებითი წმინდა და ურთიერთშეუცნობელი ურთიერთობა გამოწვეული იყო ანგელოზის გაფრთხილებით და ეს უკავშირდებოდა იესო ქრისტეს დაბადებას, ხოლო შემდგომ მაცხოვრის დაბადებისა მარიამი კანონიერი ქორწილის წესს უნდა დამორჩილებოდა“. ტექსტის ასეთი განმარტების მიზეზი წმინდა წერილისადმი გაუაზრებელი დამოკიდებულების შედეგია (Basil. Magn. In s. Christi generat.). წმინდა მამები ამ ფრაგმენტის მცდარ განმარტებას ორ არგუმენტს უპირისპირებენ. ნეტარი იერონიმე ჩვენს ყურადღებას მარიამის დამწინდებულის, იოსების პიროვნებაზე ამახვილებს. შეიძლება ვიფიქროთ,

რომ უბიწო ადამიანმა, ანუ „მან, ვინც სიზმარში გამოცხადებული ღვთის ანგელოზისაგან ჩვეულებრივი ადამიანისათვის წარმოუდგენელი უწყება მიიღო და ის სიტყვები მიიხსენის, რომელიც: „ანგელოზმა უთხრა მათ: ნუ გეშინიათ; აჰა, მე გახარებთ დიად სიხარულს, რომლითაც იხარებს მთელი ხალხი“ (ლუკ. 2:10)... ის, ვინც იხილა სვიმონ მართალი და ღვთისმოსავი, მოისმინა მისი სიტყვები: „აწ განუტყევებ მონას შენსას, მეუფეო, თანახმად შენი სიტყვისა, მშვიდობით“ (ლუკ. 2:29), ის, ვინც ანა წინასწარმეტყველი, მოგვები, ვარსკვლავი, მოზეიმე ანგელოზები და ჰეროდე მეფის მრისხანება დაინახა; ის, ვინც ამდენი სასწაულის მომსწრე გახდა და ვინც მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე თანამოძმეებში ღვთისმოსაობით გამოირჩეოდა, ნუთუ ხორციელი ნებით შეეხებოდა ღმრთის ტაძარს, ღვთის წმინდა საკურთხეველს, თავისი უფლის დედას? (Hieron. De virgin. 8). სხვა არგუმენტი თვით ბიბლიურ ტექსტში გამოყენებული „ვიდრე არ“ და სხვა მსგავსი სიტყვებიდან გამომდინარეობს. წმინდა იოანე ოქროპირი მათეს სახარების (1:25-ის) განმარტებისათვის ბიბლიურ მასალას იშველიებს, კერძოდ: დაბ. 8:7; ფსალმ. 71:7 და ფსალმ. 89:2. პირველ ფრაგმენტში, ანუ დაბ. 8:7-ში, არ ჩანს, რომ ყორანი დაუბრუნდა ნოეს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიმდინარე მოვლენებში გარკვეული პერიოდის დასრულების შემდეგ, „ვიდრე არ“ სიტყვების გამოყენების შემდეგ პრინციპულად არაფერი შეიცვალა. ტექსტის ასეთი შინაარსი ნათლად მოჩანს მცხეთურ ხელნაწერში, მით უმეტეს, თუ ამ ფრაგმენტს ჩავიკითხავთ 8:9-ის ჩათვლით. მეორე შემთხვევაში, – „გამოაბრწყინვოს დღეთა მისთა სიმართლე და მრავალი მშვიდობაი, ვიდრემდის განკაფდეს მთოვარე“; – განმარტებისას, წმინდა იოანე გვასწავლის, რომ აქ ლაპარაკი არ არის დროის რაიმე კონკრეტულ მონაკვეთზე, რადგან არ იგულისხმება „ამ ბრწყინვალე მანათობელის დასასრული“. მესამე ფრაგმენტი: „ვიდრე მთები დაიბადებოდნენ და შექმნილი დედამიწასა და სამყაროს, და უკუნითი უკუნისამდე შენახარ ღმერთი“, – განაგრძობს წმინდა იოანე ოქროპირი, რა თქმა უნდა, რაიმე კონკრეტულ დროზე კი არა, ღმრთის დაუსაბამობასა და უკვდავებაზე მეტყველებს (Ioan. Chrysost. In Matth. V 3). წმინდა ეპიფანე კვიპრელი ეპისკოპოსი და ღირსი ნილოს სინელი კი მათე მახარებლის ნახსენებ სიტყვებს



ასეთ კომენტარს უკეთებენ: 1:25-ში, ცოლ-ქმრულ ურთიერთობაზე საერთოდ არ არის საუბარი, გამოყენებული ზმნა „უცენია“ სულაც არ ნიშნავს ზმნას „შეუცენია“ და ეს ორი სიტყვა სხვადასხვაა, ისინი სინონიმებს არ წარმოადგენენ (შეადარეთ: „შიცნო ადამმა ევა, თავისი დედაკაცი. დაორსულდა ევა და შვა კანი...“ დაბ. 4:1). წმინდა ეპიფანე კითხულობს: „საიდან უნდა სცოდნოდა იოსებს, რომ მარიამი ასეთი მადლის ღირსი გახდებოდა ან საიდან უნდა სცოდნოდა, რომ ქალწული ასეთი დიდებით შეიმოსებოდა. მან იცოდა, რომ ბუნებით და სქესით ის იყო ქალი, რომლის დედა ანაა, მამა იოაკიმე, ნათესავი ელისაბედი და რომ ის დავითის სახლისა და გვარისა იყო. მაგრამ იმ სასწაულის შესახებ, რაც უნდა განხორციელებულიყო, რა თქმა უნდა, დრომდე, მან არაფერი იცოდა. როდესაც იოსებმა იხილა ჩვილი ძე ღმრთისა და მის დაბადებასთან დაკავშირებული მოვლენები, მხოლოდ მაშინ სცნო მან მარიამში ღვთიებობებუი დიდებულება“ (citata E Epiph. Adv. haer. მიხედვით). იმავეს ბრძანებს ღირსი ნილოსი: „იოსები ვერ მიხვდა და მან ვერ სცნო, რომ მარიამი ღვთისმშობელი უნდა გამხდარიყო“ (Nil. Ep. 254).

ერეტიკოსები ღვთისმშობლის მარადის ქალწულებას იმის გამო არ აღიარებენ, რომ სახარებაში ჩვილი იესო „პირმშოდ“ (ლუკ. 2:7) და არა „დედისერთადაა“ მოხსენიებული, ანუ „პირველად“ და არა „ერთადერთად“. ასეთ არგუმენტს ღირსი იოანე დამასკელი უსაფუძვლოს უწოდებს: „უნდა ვიცოდეთ, – ბრძანებს წმინდა იოანე, – რომ „პირმშო“ არის პირველად შობილი, თუნდაც მხოლოდშობილი იყოს იგი, რადგან ეს სიტყვა პირველშობილობას აღნიშნავს და იგი არ წარმოაჩენს აუცილებლად სხვათა შობასაც“ (orthodoxy.ge, თავი ოთხმოცდამეშვიდე). წმინდა ეპიფანე კვიპრელი კი შენიშნავს, რომ ერეტიკოსები შეგნებულად იშველიებენ სახარებისეულ ადგილებს, სადაც მაცხოვრის დები და ძმებია ნახსენები, რადგან მიიწვევდნენ, რომ ისინი მაცხოვრის ნამდვილ და-ძმას წარმოადგენდნენ (Epiph. Adv. haer. 9). ერეტიკოსების შეხედულებას თვითონ სახარება პასუხობს, რადგან იესო ქრისტემ საკუთარ დედაზე ზრუნვა იოანე ღვთისმეტყველს სთხოვა. ცხადია, ასე არ მოხდებოდა, „ღვთისმშობელს სხვა შვილები ან ახლო ნათესავები რომ ჰყოლოდა“ (Epiph. Adv. haer. 7). „თუ იოსები ნამდვილად ქმარი იყო და მარიამი მისი თანამეცხედრე, რით

უნდა აიხსნას, რომ ის (იესო ქრისტე) ქმარსა და შვილებს უფლებებს ართმევს და მარიამის მიმართ მათ მოვალეობებს არაფრად აგდებს? – კითხულობს ამბროსი მედიოლანელი. პირი დაიყავით ცოდვილნი, – განაგრძობს წმინდა ამბროსი, – ჯვარცმული იესო ქრისტე აღთქმას იოანე ღვთისმეტყველთან დებს და წმინდა იოანე ამ აღთქმას უყოყმანოდ იღებს. დედის უბრალოებისა და უმანკოების დაცვა უტყუარი საბუთია მისი უმწიკვლობისა...“ (Ambros. Mediol. De instit. virgin.).

ეკლესიაში ღვთისმშობლის მარადის ქალწულობის წმინდა რწმენა საიდუმლოებით შემოსილ ჭეშმარიტებად სუფევს. ამ საიდუმლოს ბოლომდე ახსნის სურვილი ჯერ არც ერთ უდიდეს წმინდა მამას არ გასჩენია. „რას ნიშნავს ქალწულის მიერ ღმერთის შობა? ორი ურთიერთდაშორებული ბუნება ერთმანეთს როგორ შეერწყა? – ასეთი კითხვები დასვა წმინდა გრიგოლ ნაზიანზელმა და თავადვე უპასუხა: – ეს – საიდუმლოა!“ (Greg. Nazianz. Carmina dogm. X 2). „როდესაც ქალწულის მიერ შობილ ჩვილსა და შობის შემდეგ კვლავ ქალწულებაში დარჩენილ უსძლო სძალს წარმოვიდგენ, – ვკითხულობთ წერილში, რომლის ავტორად წმ. იოანე ოქროპირი მიიჩნევა, – ვერ ვპოვებ ახსნას და ამიტომაც მიემართავ რწმენას. ყოველგვარ გონიერ წვდომაზე მაღალი, მაგრამ ჭეშმარიტია, რომ ქალწულმა მუცლადილო და საოცარია – შობა ქალწულისაგან?.. შეხედე საიდუმლოს, როგორი ხილვადი და უხილავია, მიგნებადი და მიუგნებელია, გონით შეხებადია და შეუხებელი. ო, ჭეშმარიტად, ეს ცისა და მიწის საიდუმლოა...“ (In Nativit. Christi).

ღვთისმშობელი და მისი ხატის ამსახველი რამდენიმე სიმბოლო



ღელა ღვთისა

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი მოკრძალებული დამოკიდებულება აისახა უძველესი ქრისტიანების წმინდა გადმოცემებში. მათში დიდი სისათუთითა და მოწიწებით არის წარმოდგენილი მისი ცხოვრება, საქმეები და გამონათქვამები. სწორედ ასეთი მასალა გვაძლევს საშუალებას, ნათლად წარმოვიდგინოთ ყოვლადწმინდა და მარადისქალწული ღვთისმშობლის ნამდვილი ხატი.

წმინდა გადმოცემაში გათვალისწინებულია მღვდელმონაწამე დიონისე არეოპაგელის (+96 წ.), მღვდელმონაწამე ეგნატე ღმერთშემოსილი ეპისკოპოსის (+107 წ.) სიტყვები და წმინდა ამბროსი მედიოლანელი ეპისკოპოსის (+397 წ.) ქმნილება „ქალწულებისა და ქორწინების შესახებ“, რომლის პირველ თავში – „ქალწულების შესახებ“ ნათქვამია: „ღვთისმშობელი როგორც სხულით, ისე სულითა და გულით იყო ქალწული; მას ახასიათებდა: კეთილგონიერება, უმანკოება და ღვთისმორჩილება; წიგნიერება და შრომისმოყვარეობა; ის იყო წინდახედული, სიტყვასწორი და სიტყვამცირე. მას წესად ჰქონდა უშურველობა, ის არასოდეს არავის შეურაცხყოფდა. თვალში საცემი იყო მისი მუდმივი კეთილმოსურნეობა. სინამდვილეს ყოველთვის საღად აფასებდა და ყოველგვარ ქება-დიდებას გაუბოღდა. მშობლებს მის სახეზე არასოდეს შეუნიშნავთ წყენა ან წყრომა. მედიდურობა მას არასოდეს გამოუხატავს. ღვთისმშობელი არ განრიდებია უმწეოს, უსანათოსა და გასაკითხს. მისი მზერიდან მძლავრობა და სუსხი არასოდეს გამოსჭვიოდა. მის ბაგეს წინდაუხედაობა არ მოსწყევტია. მისი ქმედებით უხერხულობა არასოდეს შექმნილა: ქცევით ის ყოველთვის მორიდებული იყო; საქციელი წყნარი და ხმა თანაბარი ჰქონდა; ასე რომ, სიწმინდით აღსავსე მისი სული მუდმივად იყო გამოვლენილი მის სრულყოფილ გარეგნობაში. ღვთისმშობლისათვის ყოველი უამი მარხულობით განისაზღვრებოდა: ეძინა მხოლოდ აუცილებელობის შესა-

ბამისად და მაშინაც მხოლოდ სხეული ისვენებდა; სული ფხიზლობდა, უკვე წაკითხულს იმეორებდა, ანდა ფიქრობდა, კვლავაც სინჯავდა უკვე ნაფიქრალს, ან კი წინასწარ ჭკერებდა მომავალს. შინიდან მხოლოდ ეკლესიაში წასასვლელად გამოდიოდა. საშიშროებით აღვსილ იმდროინდელ სინამდვილეში ის მუდმივად უახლოესი ადამიანებით იყო გარემოცული. ახლობლები მას მხოლოდ გაბოროტებული მტრებისგან იცავდნენ, ხოლო მისი ბუნების ნამდვილი მცველი ზნეკეთილობა იყო“.

საეკლესიო მემკვიდრე ნიკიფორე კალისტომ (XIV ს.) შემოგვინახა წმინდა გადმოცემა, რომელშიც ნათქვამია: „ღვთისმშობელი საშუალო სიმაღლის (სხვანი მიიჩნევენ – საშუალოზე ოდნავ მაღალი) იყო; თმა ოქროსფერში გადასდიოდა; ჰქონდა ზეთისხილისფერი სწრაფი თვალები, ნათელი გამოხედვა; ნელშავი რკალისებრი წარბები, ოდნავ მოგრძო ცხვირი; ბაგე – ნეტარი, კეთილხმოვანი; სახე – არამრგვალი; გრძელი, მწვიდი ხელის თითები... საუბარში ყოველთვის კეთილგანწყობას ინარჩუნებდა, არც გაიცინებდა და არც გაგულისდებოდა; მისთვის უცხო იყო ყოველგვარი ნებიერობა და მოჩვენებითობა, იგი ყოველთვის უბრალო, ალაღ-მართალი და უყვედრებელი იყო, მასში აშკარად შეიმჩნეოდა სასოება და ღვთისმორჩილება. მისი ჩასაცემელი ფერთა ბუნებრივობით გამოირჩეოდა, რასაც ნათლად მოწმობს ხატებში წარმოდგენილი მისი შესამოსლის ფერები. მოკლედ რომ ვთქვათ, ყველა მისი ქმედება უდიდესი მაღლით იყო გასხივოსნებული“. ნიკიფორე კალისტომ ეს მასალა წმინდა ეპიფანე კვიპრელი ეპისკოპოსის (+403 წ.) წერილებში მოიპოვა.

ღვთისმშობელი მარიაში

ქრისტიანულ აზროვნებაში წმინდა მარიამის სახელად „ღვთისმშობლის“ დამკვიდრება დაკავშირებულია უფალი იესო ქრისტეს ორი ბუნების (ღვთაებრივისა და ადამიანურის) ჰიპოსტასურ ერთიანობასა და მათ ურთიერთმიმართებასთან – *communicatio idiomatum* (ქრისტეში მიუხედავად ორი ბუნებისა ერთი ჰიპოსტასია) ამასთან, უეჭველად უნდა გვახსოვდეს, რომ, მართლმადიდებლური დოგმატიკის მიხედვით, ქალწულ-


მა მარიამმა შვა ქრისტე, მაგრამ მას ღმერთი ანუ ღვთაებრივი ბუნება არ უშვია. ღვთაებრივი ბუნება არ შეიძლება იშვას, ის მუდამ იყო და დროში დაბადებას არ ექვემდებარება. მარიამმა შვა ღმერთი „სიტყვა“ მისი ადამიანური ბუნებით. სახარებაში ვკითხულობთ: „დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა. ის იყო დასაბამიდან ღმერთთან. ყველაფერი მის მიერ შეიქმნა, და უმისოდ არაფერი შექმნილა, რაც კი შეიქმნა“ (იოან. 1:1-3). ნათელი ხდება, რომ მიუხედავად ღმერთის ადამიანური ბუნებით შობისა, დაბადების სუბიექტი მაინც ღმერთი – ძე ღმრთისა იყო, რომელიც სულიწმინდით ქალწულში განხორციელდა და ქალწულისაგან იშვა. შესაბამისად, ქრისტე არის ერთი პიროვნება, ერთი ჰიპოსტასი და არ შეიძლებოდა ასეთი მუცლადღების შედეგად სხვა ვინმე დაბადებულიყო. უნდა გაფიქვალისწინოთ, რომ არ დაბადებულა „რა“, ანუ არ დაბადებულა დამოუკიდებლად არც ღმერთის ბუნება და არც ადამიანის ბუნება; დაიბადა „ვინ“, ანუ პიროვნება – სრული ღმერთი და სრული კაცი. როგორც ღირსი ანასტასი სინელი წერს: „დაბადება თავისთავად ჰიპოსტასთან შეერთებაა“ და ამიტომ ერთადერთი ჰიპოსტასი, რომელიც ქალწულმა მარიამმა შვა, იყო ღმერთი – სიტყვა, რომელიც დაიბადა ადამიანად, ანუ ღმერთმა თავის ჰიპოსტასში შეიერთა სრული ადამიანური ბუნება.

მთავარ პრობლემად მარიამის ღვთისმშობლად (Theotokos) სახელდების საკითხი გადაიქცა. შეიქმნა დაახლოებით ისეთივე გარემოებები, როგორც თეოპასქიტური (წმინდა სამების წევრთა განხორციელებასა და მათ ვნებებთან დაკავშირებული) დაგვების დროს იყო. ამ შემთხვევაში მიმდინარე დავისთვის უდიდესი მნიშვნელობა იმას ენიჭებოდა, რომ მაცხოვრის ქმედება და მასთან დაკავშირებული მოვლენები ორი თვალსაზრისით უნდა განხილულიყო: ერთი მხრივ, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო, რომ მაცხოვარს ორი – ადამიანური და ღვთაებრივი ბუნება აქვს, ხოლო მეორე მხრივ, საქმე გვაქვს ერთ ჰიპოსტას სიტყვასთან. აქედან გამომდინარე, რადგან ორი სხვადასხვა ბუნება ერთ ღმერთს – სიტყვას მიეკუთვნება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ორი ბუნება ერთმანეთთან თანაარსებობის პროცესშია. ამ თვალ-

საზრისით კი ღმერთის დაბადებისა და სიკვდილის შესახებ
ლაპარაკი შესაძლებელი ხდება.

მაცხოვრის ადამიანური ბუნება არასოდეს არსებობდა და
მოუკიდებლად და განცალკევებით. თავისი მყოფობა მან
თავიდანვე ჰიპოსტას სიტყვისგან შეიძინა, შესაბამისად, ის
შეერთების პირველწამიდანვე განღმრთობილია. წმინდა იო-
ანე დამასკელი წერს: „ამ სახითვე გაიაზრება და ითქმის
ღვთისმშობლად წმინდა ქალწული, ესე იგი არა მხოლოდ
სიტყვის ბუნების გამო, არამედ ადამიანურის განღმრთობის
გამოც, ერთობლივად აღესრულა რა მათი მუცლადღებისა და
მყოფობის საკვირველება, კერძოდ, მუცლადღება – სიტყვისა,
ხოლო ხორცისა – თვით სიტყვაში მყოფობა, რაჟამს ღვთის-
დედამ ზებუნებრივად მიანიჭა დაბადება დამბადებელს და
განკაცება – ღმერთს, ყოვლის შემოქმედს, რომელმაც ღმერ-
თყო შენაძენი, შეინარჩუნა რა შეერთებამ შეერთებულნი იმგ-
ვარნივე, როგორებიც შეერთდნენ, კერძოდ – არა მხოლოდ
ღმერთობა ქრისტესი, არამედ – მისი ადამიანობაც, რაც ჩვენ-
ზე უზემოესია და ჩვენებრი, რადგან არათუ ჩვენებრი იყო იგი
პირველად და შემდეგ გახდა ჩვენზე უზემოესი, არამედ პირვე-
ლი მყოფობიდანვე მყოფობდა ორივე, იმის გამო, რომ მუცლა-
დღების დასაბამიდანვე თვით სიტყვაში ჰქონდათ მათ მყო-
ფობა. ამრიგად, ადამიანურია იგი საკუთარი ბუნებით, მაგრამ
ღვთისაა და საღვთოა ზებუნებრივად. ამასთან, განსულიერე-
ბული ხორცის თვისებებიც ჰქონდა მას, რადგან ესენი განგე-
ბულების ნიშნით მიიღო სიტყვამ, – ჭეშმარიტად ბუნებითად
გამოვლენილნი ბუნებითი მოძრაობის წესით“. [http://
orthodoxy.ge](http://orthodoxy.ge).

„ღვთისმშობელი“ ღვთივშთაგონებული სახელია. სახარე-
ბა წმინდა ელისაბედისა და წმინდა ქალწული მარიამის შეხ-
ვედრის შესახებ გვიამბობს: „როგორც კი გაიგონა ელისა-
ბედმა მარიამის მოკითხვა, ყრმა შეიძრა მის მუცელში, და
აღივსო სულიწმიდით ელისაბედი. ხმამაღლა შეღაღადა და
თქვა: კურთხეული ხარ დედათა შორის და კურთხეულია
შენი მუცლის ნაყოფი! ვინ გამხადა იმის ღირსი, რომ ჩემთან
მოვიდა ჩემი უფლის დედა?“ (ლუკ. 1:41-43), – ამ მიმართვით
წმინდა ელისაბედმა წმინდა მარიამი უფლის დედად, სხვაგ-
ვარად რომ ვთქვათ, „ღვთისმშობლად“ მოიხსენია.



როგორც ჩანს, ტერმინი „ღვთისმშობელი“ თავდაპირველად ალექსანდრიის სკოლაში დამკვიდრდა. ბიზანტიელი ისტორიკოსი სოკრატე სქოლასტიკოსი თავისი „ეკლესიის ისტორიის“ მეშვიდე წიგნში ტერმინის გაჩენას ორიგენეს სახელთან აკავშირებს და მიუთითებს, რომ ეს სიტყვა პირველად რომაელთა მიმართ ეპისტოლეს ორიგენესეულ კომენტარებშია ნახსენები, რომელმაც, სამწუხაროდ, ჩვენამდე ვერ მოაღწია. დღემდე შემორჩენილ წყაროთა შორის უძველესია პავლე სამოსატელის (III საუკუნე) მიმართ მიწერილი წმინდა დიონისე ალექსანდრიელის ხელმძღვანელობით მოწვეული ალექსანდრიელი ეპისკოპოსების კრების მასალები, სადაც ნათქვამია, რომ იესო ქრისტე განკაცდა და იშვა წმინდა ღვთისმშობელი ქალწული მარიამისგან.

თუ თავად ტერმინი „ღვთისმშობელი“ მესამე საუკუნეზე უფრო ადრეულ წყაროებში არ გვხვდება, იესო ქრისტეს სასწაულებრივი განკაცების შესახებ წმინდა მახარებლებთან ერთად მოციქული პავლემ მოგვითხრობს. ეპისტოლეში გალატელთა მიმართ ვკითხულობთ: „როდესაც მოიწია დროის სისრულე, ღმერთმა მოაგვლინა თავისი ძე, რომელიც იშვა ქალისაგან და დაემორჩილა რჯულს“ (გალ. 4:4). ეს სიტყვები ნათლად მეტყველებენ, რომ რადგან ღმერთმა თავისი ძე მოაგვლინა, ქალი, რომლისგანაც იგი იშვა, ღვთისმშობელია. ცოტა მოგვიანებით, I-II საუკუნეების მიჯნაზე, წმინდა ეგნატე ღმერთშემოსილი ეფესელთა მიმართ გაგზავნილი წერილის მეთვრამეტე თავში წერს: „ჩვენი უფალი იესო ქრისტე მარიამში ღმერთის ნებით დავითის შთამომავლად სულიწმინდით ჩაისახა“.

როგორც ცნობილია, ეს საკითხები განხილულ იქნა 431 წელს, კონსტანტინოპოლელი პატრიარქის ნესტორის მწვალებლური მოძღვრების წინააღმდეგ მოწვეულ მესამე მსოფლიო კრებაზე, რომელიც წმინდა მარიამს ღვთისმშობლად (Theotokos) არ მიიჩნევდა და მას ან ადამიანის მშობლად (anTropotokos), ან ქრისტეს მშობლად (qristotokos) იხსენიებდა. მესამე მსოფლიო კრების მუშაობის შედეგად, წმინდა კირილე ალექსანდრიელმა შეადგინა აღმსარებლობის საბოლოო, შეთანხმებული დასკვნა, რაც პრაქტიკულად მესამე მსოფლიო კრების ოროსს წარმოადგენდა, სადაც ვკითხულობთ:

„შესაბამისად მიღწეული შეთანხმებისა მაცხოვარში ორი ბუნების შეურევნელი ერთიანობის შესახებ, წმინდა ქალწულს ვაღიარებთ ღვთისმშობლად, და ეს იმის გამო, რომ მასში განხორციელდა და განკაცდა ღმერთი ლოგოსი, — და მან, უფალმა, მისგან იღვაწა ტაძარი თვისი“.

ისმის კითხვა: რა იყო მიზეზი ამ ტერმინისადმი ასეთი დიდი ყურადღებისა და პრინციპული დამოკიდებულებისა? საქმე ის არის, რომ წმინდა მარიამის ღვთისმშობლობის უარყოფა, მკაცრი დოგმატური პრინციპებიდან გამომდინარე, ღვთის განკაცების უარყოფის ტოლფასი იქნებოდა, რაც ქრისტიანობას, თავისთავად, ნესტორიანობად გადააქცევდა. თუ უარს ვამბობთ მარიამ ქალწულის ღვთისმშობლობაზე, მაშინ განკაცებისა და მარიამისგან შობის სუბიექტი ღმერთი — სიტყვა კი არა, ვინმე მისგან განსხვავებული, ცალკეული, დამოუკიდებელი ჰიპოსტასის მქონე ადამიანი ხდება, რომელიც თავისი არსებობით აბრკოლებს და შლის ღვთის განკაცებისა და „იესო ქრისტეში ორთა ბუნებათა განუყოფელად, განუყრელად, შეურევნელად და უქცევლად შეერთებას“.

ღვთისმშობლის ჰიროვნებასთან დაკავშირებული რამდენიმე სიმბოლო

ღვთისმშობლის თაყვანისცემის ამსახველი პირველი ხატები წარმოდგენილია რომის კატაკომბებში, სადაც ქრისტიანები დევნას აფარებდნენ თავს. აქ შემორჩენილ მეორე საუკუნის გამოსახულებებში ნათლად მოჩანს, როგორ აღესრულებოდა ტრადიციული ღვთისმსახურება. კატაკომბებშია ნაპოვნი მარიამ ღვთისმშობლის პირველი ფრესკები („ბალაამ ბეყორის ძე ღვთისმშობლის წინაშე“, „ღვთისმშობელი და ახალშობილი ძე ღვთისა“, „მოგვთა თაყვანისცემა“ და სხვა). ამ ფრესკებსა და სხვა გამოსახულებებს ჯერ კიდევ ანტიკური ელფერი დაჰკრავს. ასკეტური ელემენტები მათში ნაკლებადაა წარმოდგენილი. აქ აქცენტირებულია მშობლის მფარველობითი და დედობრივი ძალა. გამოსახულებაში ყურადღებას იქცევს მეტყველი თვალები. ამ გამოსახულებებიდან ჩანს, რომ ღვთისმშობლის თაყვანისცემას ჯერ ჩამოყალიბებული, საბოლოო და კანონიკური სახე არ მიუღია.

ღეთისმშობლის ერთ-ერთ მეტაფიზიკურ სიმბოლოდ იაკობის კიბე წარმოგვიდგება. წმინდა წერილში ვკითხულობთ, რომ იაკობს „ესიზმრა: მიწაზე კიბე დგას და თავით ცხას სწვდება; უფლის ანგელოზები აღიჩამოდიან კიბეზე. ამა უფალი დგას კიბეზე და ეუბნება: მე ვარ უფალი, ღმერთი აბრაამისა, მამაშენისა, და ღმერთი ისაკისა. ეს მიწა, რომელზეც წევხარ, შენთვისა და შენი შთამომავლობისთვის მომიცია. შენი შთამომავლობა ქვიშასავით მრავალრიცხოვანი იქნება და განივრცობა დასავლეთისკენ, აღმოსავლეთისკენ, ჩრდილოეთისკენ და სამხრეთისკენ; შენითა და შენი შთამომავლობით იკურთხება მიწიერთა მთელი მოდგმა“ (დაბ. 28:12-14). და მართლაც, ღეთისმშობლისა და მისი ძის წყალობით ადამიანისთვის ზეცა აღარ არის მიუწვდომელი.

სხვა სიმბოლოა „მაყვალე შეუწველი“. გამოსვლათა წიგნში ვკითხულობთ: „მწყემსავდა მოსე თავისი სიმამრის, მიდიანელი მღვდლის, ითროს, ცხვარს. წაასხა ერთხელ ცხვარი უდაბნოს იქით და მიადგა ღეთის მთას, ხორებს. გამოეცხადა უფლის ანგელოზი ცეცხლის ალად შუაგულ მაყვლოვანში. ხედავს, ცეცხლი უკიდია მაყვლოვანს, მაგრამ არ იწვის მაყვლის ბუჩქი. თქვა მოსემ: მივალ და ვნახავ ამ დიდებულ სანახავს, რატომ არ იწვის მაყვლოვანი. დაინახა უფალმა, რომ მოდის მოსე სანახავად და დაუძახა ღმერთმა შუაგული მაყვლოვანიდან: მოსე! მოსე! მიუგო: აქა ვარ. უთხრა: ახლოს ნუ მოხვალ! გაიძრე ფეხსამოსი, რადგან ეს ადგილი, სადაც შენ დგახარ, წმიდა მიწაა. უთხრა: მე ვარ მამაშენის ღმერთი, აბრაამის ღმერთი, ისაკის ღმერთი, იაკობის ღმერთი. სახე დაიფარა მოსემ, რადგან ღეთის ხილვისა შეეშინდა. თქვა უფალმა: ვიხილე ჩაგვრა ჩემი ერისა ეგვიპტეში და მომესმა ზედამხედველებისგან გამწარებულთა ღაღადი. რაკი გავიგე მისი გასაჭირი, ჩამოვედი, რომ ვიხსნა იგი ეგვიპტელთაგან და წავიყვანო მაგ ქვეყნიდან მადლიანსა და ვრცელ ქვეყანაში, სადაც ღვარად მოედინება თაფლი და რძე, ქანაანელთა, ხეთელთა, ამორეველთა, ფერიზეველთა, ხივიელთა და იებუსეველთა ქვეყანაში“ (გამ. 3:1-8).

ნეტარი იერონიმე წერს: „ქალწულისგან ის უნდა შობილიყო, ვინც უდაბნოში შეუწველი მაყვლიდან მოსეს ესაუბრა“ (თვ. ტ. 7, სტრ. 135). ეს აზრი მრავალგზის გვხვდება საეკლესიო საგალობლებში.

საკმაოდ ძლიერ ცეცხლში იყო გახვეული მაყვლის ბუჩქი, — წერს წმინდა კირილე ალექსანდრიელი, — მაგრამ ცეცხლის გრძელი ენები მაყვლოვანს არ აზიანებდა. რაც ხდებოდა ადამიანის გონებისთვის მართლაც მიუწვედომელი და წმინდად წარმოსადგენია. ბუჩქი მთლიანად ცეცხლშია გახვეული და თავისი თბილი შეხებით ცეცხლი მას მხოლოდ ათბობს. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ცეცხლმა თავისი ჭეშმარიტი ბუნება და ძალა მიივიწყა, „რადგანაც ჩვენი ღმერთი არის შთამნთქმელი ცეცხლი“ (ებრ. 12:29) და მართლაც, როგორც ბალახი ვერ უძლებს ცეცხლთან შეხებას და ნადგურდება, ისე ღმერთია ადამიანისთვის მიუწვედომელი. დაწერილია: „ბალახით არის დღენი კაცისა, ველის ყვაველივით აყვაედება“ (ფსალმ. 102:15). თუმცა ეს იყო ძე კაცისას — ქრისტეს შობამდე: „რადგანაც მასში მკვიდრობს ხორციელად ღვთაების მთელი სავსება“ (კოლ. 2:9) და ის არის „მპყრობელი უკვდავებისა, მიუწვედომელ ნათელში მყოფი“ (1 ტიმ. 6:16). ანუ იმისათვის, რომ კაცთათვის მისაღწევი გამხდარიყო, ღმერთმა დააშთო საკუთარი ძალოვნება და უსაზღვრო თვინიერებით ქალწულის ტაძარში დამკვიდრდა. და რაც ღმერთთან შეხების გამო თავისი ადამიანური ბუნებით (ანუ ღვთისმშობლის სხეული) არარად უნდა ქცეულიყო, მან წახდენას არ დაუქვემდებარა; სწორედ ამ უდიდესი მაღლით მოსილი მოვლენის პირველხატია „მაყვალი შეუწველი“. ეს ამბავი გასაგებს ხდის ქალწულისგან შობილი მაცხოვრის სიტყვებს: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე; ვერავინ მივა მამაჩემთან, თუ არა ჩემ მიერ“ (იოან. 14:6). ამრიგად, ცეცხლმა ღმობიერება გამოიჩინა და სუსტი მცენარე იმის გამო არ დაიწვა, რათა ცნობილი გამხდარიყო, რომ ადამიანისთვის ღმერთი მიუწვედომელი არ არის და ეს ნათლად მოჩანს ჩვენი მაცხოვრის განკაცების საიდუმლოში. იესო ქრისტეს მობრძანების შემდეგ ყოველ ჩვენგანში ღვთის სიტყვის მარცვალი შემოვიდა. ამის გამო ღმერთს არც ცოდვისთვის დასჯა, არც კანონის მიხედვით განკითხვა და არც გააკიცხვა მოუთხოვია. სიტყვამ ჩვენში ნათელი შემოიტანა, ფრთხილად მოიზარდა და მომწიფდა: „რადგანაც ღმერთმა იმისათვის როდი მოავლინა თავისი ძე ამქვეყნად, რათა განესაჯა ქვეყანა, არამედ რათა ესნნა მის მიერ“, — ბრძანებს უფალი. და როგორც ცეცხლმოდებუ-

ლი მაყვლოვანი არ იწვოდა, ისე ჩვენ არ ვისჯებით ჩვენი ცოდვების გამო, თუკი გულწრფელად მოვინანიებთ, და ცმცხლოვანი ძალა სულიწმინდისა ჩვენში სიმშვიდით სუფევს. რადგან მონობის სული როდი მიგვიღია, რომ კვლავ გვეშინოდეს, არამედ ძეობის სული მივიღეთ, რომლითაც ვლადადებთ: „აბბა, მამაო!“ (რომ. 8:15), – ბრძანებს წმინდა პავლე მოციქული.

ყოველწლიური ღვთისმშობლის მიძინება



*შობასა ქალწულებსა დაიმარხე და მიცვალებასა
არა დაუბკე, ღვთისმშობელო, მოხუედ ცხოვრებად
დედაი ეგე ცხოვრებისა, და ან მეოხებითა
შენითა იხსნი სიკვდილისაგან სულთა ჩვენთა*

ღვთისმშობლის ყოველწლიური ცხოვრების ეპიზოდები მაცხოვრის ამაღლებიდან მიძინებამდე

წმინდა გადმოცემიდან ვიცით, რომ მაცხოვრის ამაღლების შემდეგ ღვთისმშობლის კეთილდღეობაზე იოანე ღვთისმეტყველი ზრუნავდა. წმინდა მარიაში კი როგორც მოციქულთა, ისე ყოველი ქრისტიანის საიმედო დამრიგებელი და მანუგეშებელი იყო.

ადღვომის შემდეგ იგი მუდმივად დადიოდა მაცხოვრის საფლავზე. მღვდელმთავრებმა არაერთხელ სცადეს მისი მოკვდინება. იმისათვის, რათა ღვთისმშობელი საფლავზე ვერ მისულიყო, აკლდამას ერთხანს დაქირავებული მკვლელებიც კი დარაჯობდნენ, მაგრამ ღვთაებრივი თანადგომის ძალა ყოველთვის იფარავდა ღვთისმშობელს, ამიტომ მისვლას და ღოცვას იმ ადგილას, სადაც ჯვარცმის შემდეგ მაცხოვარი დაასვენეს, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ახერხებდა.

დიდი იყო მის მიმართ მოციქულთა მოწიწება და მოკრძალება. მასთან საუბრებში ქრისტიანებმა შეიტყვეს წმინდა ხარების, მაცხოვრის დაბადებისა და სხვა სასწაულებრივი მოვლენების შესახებ. თავის მხრივ, სიტყვითა და ღოცვით ქრისტიანული ეკლესიის განმტკიცებაში მოციქულებთან ერთად წმინდა ქალწულიც მონაწილეობდა. გადმოცემის თანახმად, ღვთისმშობელი პირველმოწამე არქიდაკონ სტეფანეს მოწამეობრივ მკვლელობასაც შეესწრო. ამ დროს იგი გულით თანაუგრძნობდა მოწამეს და ღოცვით ცდილობდა სიკვდილთან ღირსეული შეხვედრისათვის განემტკიცებინა იგი.

სულთმოფენობის შემდეგ მოციქულებმა იერუსალიმში კიდევ


10 წელი დაყვეს და ამ ხნის განმავლობაში ისინი იუდეველთა მოქცევას ცდილობდნენ. ღვთისმშობელმა ამ საქმეშიც დიდი წვლილი შეიტანა, შინაურიც და უცხოც მის მიმართ დიდი პატივისცემით განეწყო. იერუსალიმში მის სანახავად და მოსასმენად ხალხი შორეული ქვეყნებიდანაც მრავლად ჩამოდოდა.

43 წელს, როდესაც პეროდე აგრიპამ ქრისტიანთა სასტიკი დევნა დაიწყო (საქმ. 12:1-3) და მისი ბრძანებით მოციქული იაკობ ზებედესი სიკვდილით დასაჯეს, წმინდა მარიამმა მოციქულებთან ერთად იერუსალიმი დატოვა.

რომ გაერკვიათ, სახარება ვის სად უნდა ექადაგა, მოციქულებმა წილი ყარეს. წილისყრის შედეგად ღვთისმშობელს ივერია ერგო. ის აპირებდა კიდევ საქართველოში წამობრძანებას, მაგრამ ანგელოზი გამოეცხადა და აუწყა, რომ მის წილხვედრ ქვეყანას მაცხოვრის ნათელი მოგვიანებით მოეფინება, თავად კი ჯერჯერობით იერუსალიმში უნდა დარჩენილიყო, რათა აქედან იმ მხარეში გამგზავრებულიყო, რომელიც ასევე მის მოლოდინში იყო. ღვთისმშობელს აგრეთვე ეუწყა, რომ ქვეყნის სახელწოდება მისთვის შემდგომში განცხადდებოდა.

გადმოცემის მიხედვით, ღვთისმშობელი ჯერ იოანე ღვთისმეტყველის წილხვედრ ეფესოში ჩავიდა, იქიდან კი იოანესთან ერთად მაცხოვრის მეგობარ ლაზარესთან გაემგზავრა, რომელსაც მოციქულმა ბარნაბამ კვიპროსის ეპისკოპოსად დაასახელი. გზად გემს ძლიერი პირქარი შეხვდა და ქარიშხალმა გემი სრულიად უვნებლად ათონის მთას მიაჭდო. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი მიხვდა, რომ ეს სასწაულებრივი გაჩერება ანგელოზის წინასწარმეტყველებასთან იყო დაკავშირებული.

ამ დროისათვის ათონის მთა წარმართი ელინების განსაკუთრებული პატივით სარგებლობდა – ისინი აქ ღმერთების თაყვანისცემისთვის და ბედისწერის შესატყობად მოდიოდნენ. ღვთისმშობელი ათონის ნახევარკუნძულის მიწაზე გადავიდა. წმინდა მარიამის სულიერებისა და სიწმინდის წინაშე წარმართულმა კულტებმა ძალა დაკარგეს. ღვთისმშობელმა თავისი ქადაგებითა და სასწაულებით მრავალი ადგილობრივი მცხოვრები ქრისტიანად მოაქცია. ახალმონათლულებს წინამძღოლად და მასწავლებლად თავისი ერთ-ერთი თანამგ-



ზავრი დაუდგინა. გამოთხოვებისას ახალმოქცეული ათონელი ქრისტიანები უკანასკნელად დალოცა და ბრძანა, „დაეცნა ჩემი წილხვედრი იყოს ეს ადგილი, რომელიც ჩემი მისცა და ღმერთისგან მომეცა, მე ვიქნები ამ მიდამოს მცველი და ღვთის წინაშე მსურვალე შუამდგომელი“ (Порфирий (Успенский), еп История Афона. СПб., 1892. Ч.2. С 129-131). ამის შემდეგ გემმა, რომლითაც ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი და მისი მოწაფეები მოგზაურობდნენ, კვიპროსის მიმართულებით გაცურა. იქ მათ ლაზარე ელოდათ.

ღვთისმშობელმა კვიპროსის მიწა დალოცა, ლაზარე დედაშვილურად ანუგეშა, რჩევა-დარიგება მისცა, თავისი ხელით შეკერილი ომოფორი და სამაჯურები აჩუქა და იერუსალიმში დაბრუნდა.

ღვთისმშობლის მიძინებასთან დაკავშირებული სხვა ცნობები

იერუსალიმში ღვთისმშობელი მისი ხილვის ყველა მსურველს იღებდა, ცოდვილებს მოაქცევდა, სასოწარკვეთილებს ანუგეშებდა. დარჩენილ დროს ყოვლადწმინდა მარიამი ლოცვაში ატარებდა, ხშირად დადიოდა მაცხოვრის საფლავზე და ძე ღმერთისას ღრმა თაყვანისცემითა და დედობრივი სიყვარულით მიმართავდა, სამკვიდრებლის კურთხევას, ქრისტიანებისთვის წყალობასა და მოწყალებას ითხოვდა. მტრები მას კვლავაც დევნიდნენ, მაგრამ ღვთის მადლით ის ყოველთვის ხელშეუხებელი რჩებოდა.

ცნობები ყოვლადწმინდა მარიამის შესახებ მართლმადიდებელ ეკლესიას მოციქულთა დროიდან მოეპოვება. ჯერ კიდევ I საუკუნეში წმინდა მოწამე დიონისე არეოპაგელი წერდა: პავლე მოციქულის მიერ ღვთის მეცნიერებაში რომ არ ვყოფილიყავი განსწავლული, ყოვლადწმინდა ქალწულს აუცილებლად ღმერთად მივიჩნევდიო. წმინდა დიონისემ მაცხოვრის ამადლებიდან დაახლოებით მე-12 წელს მოინახულა ღვთისმშობელი მარიამი, მისგან კურთხევა და რჩევა-დარიგება მიიღო.

ღვთისმშობლის მიძინების შესახებ აგრეთვე II საუკუნეში მოდვაწე სარდელი ეპისკოპოს მელიტონის თხზულებებშია მოთხრობილი. წმინდა ეპიფანე კვიპრელმა IV საუკუნეში

შეკრიბა მასალები და აღწერა ღვთისმშობელი მარიამის მიძინების ამბავი. V საუკუნეში იერუსალიმელი პატრიარქი იუვენალი კეთილმსახურ ბერძენ დედოფალ პულხერიას სახელს მიმართავდა: „მიუხედავად იმისა, რომ ღვთისმშობლის მიძინება წმინდა წერილში არ არის მოხსენიებული, ჩვენ ამ მოვლენების შესახებ უძველესი და სრულიად საიმედო წყაროები მოგვეპოვება“. ეს წმინდა გადმოცემა საგულდაგულოდ არის შეკრებილი და აღწერილი XIV საუკუნის ისტორიკოსის ნიკიფორე კალისტეს თხზულებაში.

ანბელოზის ბამოცხალება

გულმხურვალე ლოცვისას ღვთისმშობელი ხშირად შესთხოვდა თავის ძეს მასთან მარადიული თანამყოფობის ბედნიერება ღირსებოდა.

ერთხელ, ზეთისხილის მთაზე ღვთისმშობელს მთავარანგელოზი გაბრიელი გამოეცხადა და ახარა, რომ მისი ზეცაში აყვანის დრო ახლოვდებოდა და ეს მოვლენა სამი დღის შემდეგ უნდა აღსრულდებოდა. ზეცაში აღსვლის მოწმობად წმინდა მარიამს მთავარანგელოზმა სამოთხეში ზრდილი ფინიკის ხის რტო გადასცა და უთხრა, რომ ეს ზეციური მცენარე ღვთაებრივი მადლით იყო გაბრწყინებული და მიძინების შემდეგ მოციქულებს მის საფლავთან უნად მიეტანათ.

შინ დაბრუნებულმა წმინდა მარიამმა მომხდარი თავის სახლეულს გაუზიარა და დიდი სიხარულით ამცნო, რომ სამი დღის თავზე თავის ძეს უნდა შეხვედროდა. თვითონ კი დაუყოვნებლივ შეუდგა სამზადისს.

მოციქულთა შიკრება

ღვთისმშობელმა იოსებ არიმათიელი და მაცხოვრის სხვა მოწაფეები მოიხმო და მათაც აცნობა, რომ მიძინებისთვის ემზადებოდა. ყოველწმინდა ქალწული ღმერთს შესთხოვდა, მასთან იოანე ღვთისმეტყველი მოსულიყო. წმინდა იოანემ სულით შეიგრძნო ღვთისმშობლის ნება და მანძილი ევესოდან იერუსალიმამდე სასწაულებრივად სწრაფად გადალახა. იოანემ ყოველივე დაუყოვნებლივ აცნობა იერუსალიმის პირველ ეპისკოპოსს, იაკობ მოციქულს – იოსებ დამწინდველის ძეს, იაკობმა კი ეს ამბავი არა მარტო იერუსალიმში,

არამედ მთელ მის შემოგარენში გაავრცელა. ხალხი ყოველი მხრიდან იოანე ღვთისმეტყველის სახლისკენ მოდიოდა.

სასწაულებრივი იყო სხვა მოციქულების მობრძანებაც. მთელი ლოდნელი მგზავრობით გაცემული წმინდა მოციქულები ერთმანეთს სიხარულით შესცქეროდნენ, უკვირდით და ერთმანეთს ეკითხებოდნენ, ვერ აეხსნათ, ასე სწრაფად და მათთვის მოულოდნელად რისთვის და როგორ შეკრიბა უფალმა. წმინდა იოანე ღვთისმეტყველმა ცრემლნარევი სიხარულით ამცნოთ, რომ მოვიდა დრო „ვითარ ქალწული აღუაღს ქუეყანით ზეცას“, რადგან „მოკუდავი ცხოველ“ არს.

ოთახში შესულმა მოციქულებმა სარეცელზე მწოლიარე ყოვლადწმინდა დედა კეთილმღიმარე იხილეს, მოიკითხეს და უამბეს იმ მოვლენის შესახებ, მათი ქადაგების ადგილებიდან უცნაურ მოგზაურობასთან რომ იყო დაკავშირებული. ღვთისმშობელმა ადიდა უფალი, რადგან მისი ლოცვა შეისმინა, მისი გულითადი თხოვნა აღასრულა და მიწიერი ცხოვრების დასასრულს მასთან მოციქულებსა და მოწაფეებს მოუყარა თავი.

როდესაც ხალხმა ზეცაში ამაღლების შესახებ თვით ღვთისმშობლისაგან შეიტყო, მოთქმით ადავსო გარემო. ისინი ფიქრობდნენ, რომ ნუგეშინისმცემლის გარეშე რჩებოდნენ. ღვთისმშობელი აიმედებდა და ჰპირდებოდა, რომ ყველასთვის მსწრაფლ შემწე იქნებოდა. ამ დაპირებაში კაცობრიობის საყოველთაო ნუგეშია დაუნჯებული.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სულის ზეცად აღსვლა

ახლოვდებოდა ღვთისმშობლის მიძინების დრო. დღე, როდესაც მთავარანგელოზის წინასწარმეტყველება უნდა აღსრულებულიყო.

გამოცხადებიდან მესამე დღის სამი საათი იყო. წმინდა მოციქულები ღვთისმშობლის დამშვენებული სარეცლის გარშემო იდგნენ და უფალს გალობით ადიდებდნენ. ოთახი მრავალი სანთლით იყო განათებული. ყოვლადწმინდა მარიამი გულმსურვალედ ლოცულობდა.

მოულოდნელად გარემო გამოუთქმელი სინათლით აღივსო, ყველა და ყველაფერი შარავანდედით იქნა მოსილი. ოთახში ისეთი საოცარი და შეუცნობელი სიამე შემოიჭრა, როგორსაც

ვერავითარი მიწიერება ვერ დაიტევდა. ყველამ ერთდროულად შეამჩნია, რომ ღვთაებრივი დიდების ნათელში სახლის ჭერი აღარსად ჩანდა. გარემოუცველი იყო უსაზომი სინათლე. სიყვარულით აღვსილმა ყოველმა სულმა ზეციურ ძალთა დასებით გარშემორტყმული დიდების მობრძანება შეიგრძნო — უფალი იესო ქრისტე ყოვლადწმინდა დედას გამოეცხადა. ანგელოზთა გამოუთქმელმა გალობამ გარემო სრულად ადავსო. მის ფონზე მხოლოდ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ღვთივსულიერი ლოცვა ისმოდა: „ადიდებს სული ჩემი უფალსა და განიხარა სულმან ჩემმან ღვთისა მიმართ მაცხოვრისა ჩემისა“, რომელსაც ღვთაებრივი მოწოდება: „მოვედ, მოკეთეო ჩემო“ და კვლავ ანგელოზთა გალობა: „გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენთანა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის!“ მოჰყვა და ზეციურ ძალთა თანხლებით, უფლის ხელით ღვთისმშობლის სული ცათა სასუფეველში საზეიმოდ ამადლდა.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინება და ბაცვილება



*ძლეულ იქმნეს ბუნებანი მეტყუელნი, შენთვის,
ქალწულო უბინოო, ქალწულებრივი შობაი და
სიკუდილი ცხოვრებისმომცემელი და შემდგომად
შობისა ქალწულად ჰვიე და მოკუდავი ცხოველ ხარ
ღმრთისმშობლო, სამართლად ვადიდებთ შენ.*

მოციქულებს და ყველას, ვინც ამ სულიერი სახილველის ღირსი შეიქნა, მიწიერება დავიწყებოდათ. ისინი შიშნარევად განცვიფრებულნი ცას შესცქეროდნენ... გონს რომ მოვიდნენ, დაინახეს, რომ სულით ცად ამაღლებული ღვთისმშობელი სარეცელზე იწვა. მისი სახე სათნო ნათლით ბრწყინავდა და დამშვენებული სარეცლიდან საოცარი კეთილსურნელება იფრქვეოდა.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ბაცვილება

გასაცვიფრებლად იცხოვრა ყოვლადწმინდა მარიამმა. სასწაულებრივი იყო მისი მიძინება და გაცილებაც. მოკრძალებითა და ძრწოლით ამბორყვეს ქრისტიანებმა მაცხოვრის დედის წმინდა სარეცელი და ღვთიური მადლით, სულიერი სიხარულითა და სასოებით განათლდა მათი გულები. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის განსაკუთრებული სიდიადის გამო რწმენითა და სიყვარულით მისული ყველა შეჭირვებული სარეცლის შეხებით იკურნებოდა.

პროცესიას სამოთხის რტოთი წინ იოანე ღვთისმეტყველი მიუძღოდა. წმინდა პეტრეს, პავლეს, იაკობსა და სხვა მოციქულებს სასახლე მხრებით მიჰქონდათ. დანარჩენი მორწმუნეები საცეცხლურებითა და ანთებული სანთლებით მიჰყვებოდნენ. საზეიმო სვლა სიონში დაიწყო, იერუსალიმი გაიარა და გეთსიმანიამდე გაღობით მივიდა. მსვლელობას დასაწყისშივე გვირგვინის მსგავსი ნათელმოსილი ღრუბელი დაადგა და ბოლომდე არ მოშორებია. ეს ციური სხეული პროცესიასთან ერთად ჰაერში მოძრაობდა. მორწმუნეებს ანგელოზთა გაღობა ესმოდათ.

იყვნენ ისეთებიც, ვინც ამ გრანდიოზულმა მსვლელობამ

გადიზიანა. ზოგიერთმა იუდეველმა მღვდელმთავარმა და უხუცესმა ისიც კი მოისურვა, რომ პროცესია დაეშალა და წინამძღოლები შეეპყრო. მაგრამ ღვთაებრივმა ძალამ არ დაუშვა ეს ბოროტება. ზეციური გვირგვინი ძირს დაეშვა და პროცესია მღვართათვის უხილავი გახდა. მღვერებს გალობა და ნაბიჯების ხმა ესმოდათ, მაგრამ სიბრძავე დაეუფლათ და ვერაფერს ხედავდნენ. უგუნურ ჭენებაში ბევრმა მათგანმა ქალაქის კედლებს თავ-პირი შეაღწია.

გამორჩეული იყო იუდეველი მღვდლის ათონიას „მონდომება“. მან უმეცრებისა და სულიერი სიბეცის გამო საშინელი კადნიერება გამოავლინა და ღვთისმშობლის სარეცლის დამხობა მოისურვა. უფალმა სამაგალითოდ დაუშვა მისი მისვლა წმინდა სასახლემდე, მაგრამ ხელის ოდნავ შეხებისთანავე მას ღვთის რისხვა დაატყდა და ორივე ხელი წარეკეთა. საზარელმა სასჯელმა გონს მოიყვანა ათონია და მან ხმამაღლა, მთელი რწმენით ამოიძახა: „მრწამს, რომ ქრისტეა აღთქმული მესია და ქვეყნიერების მხსნელი“. მკლავები მაშინვე განუმრთელდა და როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად გამოჯანსაღდა. ათონია პროცესიას შეუერთდა. როდესაც ამ სასწაულის შესახებ შეიტყო, ბევრმა იუდეველმა შეინანა, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს წრფელად სცა თავყვანი და მის სარეცელს ემთხვია. მათგან ვინც უმეცრებით იყო დაბრძალებული, განიკურნა, ხოლო ვინც გაბოროტების გამო იყო დასჯილი, მათაც მხედველობა დაუბრუნდა.

პროცესიამ გეთსიმანიას მიაღწია. ყველა უკანასკნელად ემთხვია ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ცხედარს.

აკლდამაში მისი მოთავსება წმინდა მოციქულებმა მხოლოდ საღამოს შეძლეს. გამოქვაბულის შესასვლელი დიდი ქვით დაფარეს. მომდევნო სამი დღის განმავლობაში შესასვლელთან ლოცვასა და გალობას ადავლენდნენ, ანგელოზები უფალსა და ყოვლადწმინდა ქალწულს ზეციური გალობით განადიდებდნენ.

ღვთისმშობლის აღსასრულს ეკლესია მიძინებას უწოდებს, რადგან ყოვლადწმინდა და მარადის ქალწულმა ბუნების იმ კანონებს სძლია, რომელთაც ცოდვით დაცემული ადამიანი ემორჩილება. მისი სული ზეცად ამაღლდა, ხოლო სხეულმა მცირე დროით მიძინა და მესამე დღეს უკვდავებას შეუერთდა.

მართლმადიდებელ ეკლესიას მიაჩნია, რომ ღვთისმშობელ-
მა მაცხოვრის ამადლებიდან მე-13 წელს მიიძინა. უძველესი
დროიდან ეკლესიის მიერ ღვთისმშობლის მიძინების მოსახ-
სენებლად 15 (28) აგვისტოა დადგენილი. ის ათორმეტ საუფ-
ლო დღესასწაულთა შორისაა, რადგან ამ დღეს მაცხოვარი
მიეგება მიწიერ დედას და თავის სავანეში მიუჩინა სამყოფე-
ლი.



მართლმადიდებელი და
არამართლმადიდებელი სწავლებანი
ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის
მიძინების შესახებ

სამი დღე აკლდამის შესასვლელთან
და თომა მოციქული

საღამოს, ხანგრძლივი ღოცვისა და გალობის შემდეგ, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინებული ცხედარი აკლდამაში დაასვენეს. გამოქვაბულის შესასვლელი დიდი ქვით დაფარეს. მომდევნო სამი დღის განმავლობაში მოციქულები აკლდამის შესასვლელს არ მოსცილებიან. ისინი ღოცვით, ფსალმუნთა კითხვითა და გალობით განადიდებდნენ მაცხოვარსა და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს. ისმოდა ანგელოზთა ზეციური გალობა.

ღვთის განჩინებით, თომა მოციქული ვერ შეესწრო ღვთისმშობლის მიძინებას. გეთსიმანიაში ის მხოლოდ დაკრძალვის შემდეგ, მესამე დღეს მივიდა. ღრმა მწუხარებით აღესილი, გოდებით მიეახლა აკლდამას და გულისტკივილით მოთქვამდა, რომ ღირსი არ გახდა უკანასკნელად ეხილა დედა ღვთისა. სიბრალულით აღივსნენ წმინდა მოციქულები და გადაწყვიტეს, თომასთვის ღვთისმშობლის წმინდა გვამის ხილვისა და თაყვანისცემის საშუალება მიეცათ. გახსნეს საფლავი, მაგრამ პატიოსანი გვამი აღარსად იყო. აკლდამაში მხოლოდ ტილოები ეწყო და მათგან საოცარი სურნელი იფრქვეოდა. მოციქულები ღვთისმოშიშებით ეამბორნენ საფლავში დარჩენილ სუდარას, გაიხსენეს მაცხოვრის აღდგომასთან დაკავშირებული მოვლენები და შინ მაინც გულდაწყვეტილები დაბრუნდნენ, რადგან ვერ აეხსნათ მომხდარის შინაარსი. ეგონათ, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს ვედარასოდეს იხილავდნენ, მისი ნუგეშისა და თანადგომის გარეშე დარჩებოდნენ.

იმავე საღამოს თვით ზეციურმა დედოფალმა დაამშვიდა ისინი.

უძველესი გადმოცემის თანახმად, ქრისტეს აღდგომის შემდეგ ქრისტიანთა ტრაპეზზე უპირველესი ადგილი თავისუ-


ფალი რჩებოდა — ამ ადგილას იესო ქრისტეს პატივსაცემად და მოსახსენებლად, როგორც „წილი უფლისა“, ყოველთვის იყო პურის ნაჭერი. ტრაპეზის შემდეგ ყველა სათითაოდ აიღებდა ამ პურს, ყოვლადწმინდა სამების სახელს მოუხმობდა და ღოცვას ამგვარად ამთავრებდა: „უფალო, იესო ქრისტე, შეგვეწიენ ჩვენ“. ამის შემდეგ „ქრისტეს წილს“ დაანაწილებდნენ და იხმევდნენ, როგორც უფლისმიერ კურთხევას.

მოციქულები ამ წესს ყოველთვის ასრულებდნენ, მიუხედავად იმისა, მარტო ტრაპეზობდნენ თუ სხვებთან ერთად. ამგვარადვე მოიქცნენ საღამოს ტრაპეზზეც.

გეთსემანიიდან დაბრუნების შემდეგ ყველა ღვთისმშობელზე ფიქრობდა. ტრაპეზის ბოლოს, წესისამებრ, მოციქულებმა „ქრისტეს წილი“ აიღეს და ყოვლადწმინდა სამებას განადიდებდნენ, როდესაც ანგელოსთა გალობის ხმა გაისმა. ანაზად ყველამ ზემოთ აიხედა — ცის სივრცეში დიდებით გაბრწყინებული ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი გამოეცხადათ. ზეციური ძალებით გარშემორტყმულმა მარადის ქალწულმა ასე მიმართა მოციქულებს: „გიხაროდენ, მე თქვენ თანა ვარ ყოველსა ჟამსა“. „ყოვლადწმინდაო ღვთისმშობელო, შეგვეწიენ ჩვენ!“ — შესძახეს გახარებულმა მოციქულებმა და იქ მყოფმა მორწმუნეებმა. ამგვარად, წმინდა მოციქულები თავად დარწმუნდნენ, რომ დედა ღვთისა მისმა ძემ და მაცხოვარმა მესამე დღეს მკვდრეთით აღადგინა და ხორციით ზეცად აღამაღლა. ურყევი რწმენა მთელ ეკლესიას გადაეცა.

ის, რაც კათოლიკურმა ეკლესიამ ღვთისმშობლის მიძინების ამბავს „შესძინა“

ყველაფერი, რაც ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის განდიდებისთვის, ერთი შეხედვით, სასარგებლოდ შეიძლება მოგვეჩვენოს, შესაძლოა, ამ მიზნის საწინააღმდეგოდ შემობრუნდეს. არჩევანი უწინარესად წმინდა გადმოცემას უნდა ეყრდნობოდეს. ასევე საჭიროა გავითვალისწინოთ და უეჭველად დავაკვირდეთ: ნოვაცია რომელიმე აღმსარებლობიდან ხომ არ მომდინარეობს, რა მიზნებს ისახავდნენ და რა მოტივები ამოძრავებდათ ადამიანებს აღნიშნული სიახლის შემოტანისას.



კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლები ხშირად გვიკუთნებენ, რომ ისევე, როგორც ჩვენ – მართლმადიდებლები, ღვთისმშობელს ისინიც ყოვლადწმინდასა და უცოდველს უწოდებენ. ცხადია, მართლმადიდებლური ღვთისმსახურების ტექსტებსა და წმინდა მამების ნაშრომებში ღვთისმშობლის ეს სახელები გამოიყენება, მაგრამ ისინი მართლმადიდებლურ დოგმატიკაში არ არის ცალკე გამოყოფილი და იმგვარი სპეციალური სარწმუნოებრივი მოძღვრების სახით წარმოდგენილი, როგორც ამას კათოლიკური დოგმატიკა ქადაგებს. მართლმადიდებლური მოძღვრება კი ღვთისმშობელს მთელი კაცობრიობის დარად ადამის ცოდვით დაცემული ბუნების მემკვიდრედ წარმოგვიდგენს. შესაბამისად, სიკვდილის შემდეგ ამ ადამიანთა სულები ჯოჯოხეთში ჩადიოდნენ და მაცხოვრის მიერ გამოხსნის მოლოდინში იმყოფებოდნენ. სხვაგვარად, მართლმადიდებლობა მიიჩნევს, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი პირველქმნილი ცოდვით დაზიანებული ბუნების მატარებელია და იოანე ნათლისმცემლის დარად, მასშიც ცხოვრობდა ადამის შეცოდების შედეგად მის შთამომავლობაში გადასული ღვთისგან განშორების ნაკლულება და ტკივილი.

თუ ამ კონტექსტში განვიხილავთ სიტყვებს – „და შევიდა ანგელოზი იგი მისა და ჰრქუა: გიხაროდენ, მიმადლებულო! უფალი შენ თანა. კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის“ (ლუკ. 1:28), – ნათელი გახდება, რომ ღვთისმშობელს უფალმა წინასწარ კი არ მიანიჭა რაიმე პრივილეგია, არამედ მიმადლა, რადგან ყველა სიკეთე, რომელსაც ადამიანი ღმერთთან სინერგიაში მოიპოვებს, მიმადლებულია და არა თვითმოხვეჭილი ან უმიზეზოდ ნაჩუქარი. „უფალი შენთანა“ – მიმადლების შედეგად უკვე ყოვლადწმინდა მარიამთან, ანდა მარიამშია უფალი – ძე ღმრთისა მხოლოდშობილი. დაბოლოს: „კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის“ – დედათა შორის მარიამი შეირჩა პირადი თვისებების, ლოცვის უნარის, მუდმივად უფალზე ფიქრის, იმ დიდი ერთგულებისა და სიყვარულის გამო, რითაც გამოირჩეოდა იგი დედათა შორის.

სახარების ტექსტში ერთი ასეთი ეპიზოდია მოთხრობილი: „...ვიდრე ასე ესაუბრებოდა ხალხს, მისი დედა და ძმები გარეთ იდგნენ და სიტყვის სათქმელად ეძებდნენ მას. მაშინ ვიდაცამ უთხრა მას: აჰა, დედაშენი და შენი ძმები გარეთ

დგანან და სიტყვის სათქმელად გეძებენ შენ. ხოლო იესომ პასუხად თქვა: ვინ არის დედაჩემი? ან ვინ არიან ჩემი ძმები? გაიშვირა ხელი თავისი მოწაფეებისკენ და თქვა: აჰ, დედაჩემი და ჩემი ძმები. რადგან ვინც აღასრულებს ჩემი ზეციური მამის ნებას, იგია ძმაც, დაც და დედაც ჩემი“ (მათ. 12:47-50). ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი მოყვანილ მონაკვეთს ასეთ კომენტარს უკეთებს: „მაცხოვარი ამას დედის სასაყვედუროდ კი არ ამბობს, არამედ მისი ადამიანური არსის გამოსახატავად, რადგან არ უთქვამს: ის დედაჩემი არ არისო, არამედ გააგებინა: თუ ღვთის ნებას არ შეასრულებს, მე რომ მშვა, არავითარ სარგებლობას არ მოუტანსო. ასე რომ, ის ბუნებრივ ნათესაობას კი არ უარყოფს, არამედ მას სათნოებითი ნათესაობით ავსებს“. აქ აშკარად ჩანს, რომ ღმერთისათვის კაცთა მოდგმა ერთიანია და ამ მთლიანობაში ღვთისმშობელს გამორჩეული, ადამის ცოდვისგან თავისუფალი, განსაკუთრებული ადგილი არ უკავია.

ამრიგად, კათოლიკური მცდელობა ყოვლადწმინდა მარიამის „კიდევ უფრო განდიდებისა“ ღვთისმშობელს აუხსნელ პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს, რადგან თუ ღმერთი თვითონ ანიჭებს ადამიანს რაიმე ზეადამიანურ უნარს, მაშინ პირად ღვაწლსა და დამსახურებას მნიშვნელობა აღარ ექნება. დაწერილია: „ღმერთს ხელეწიფება თვით ამ ქვათაგანაც აღუდგინოს ძენი აბრაამს“ (მათ. 3:9).

ორი კათოლიკური დოგმატის უნრთიერთმიმართება

მას შემდეგ, რაც, მართლმადიდებელი ეკლესიისგან განსხვავებით, კათოლიკურმა ეკლესიამ წმინდა მარიამის უბიწოდ ჩასახვა სპეციალურ დოგმატურ დებულებად აქცია, ანუ დოგმატურად განამტკიცა პირველქმნილი – ადამის ცოდვის შედეგებისგან ჩასახვის მომენტიდანვე ღვთისმშობლის განთავისუფლება, გაჩნდა ახალი, ღვთისმშობლის სულისა და სხეულის ერთდროულად ზეციურ დიდებაში „აყვანის“ (Assumptio) დოგმატის მიღების აუცილებლობა.


რომის პაპის უცთომელობის დოგმატის მიღების შემდეგ ოთხმოცი წელი იყო გასული, როდესაც 1950 წელს პიუს XII-მ გამოიყენა სამოძღვრო უცდომელობაში თავისი უპირატე-

სობა და „მოციქულთა კონსტიტუციაში“ „*Munificentissimus Deus*“ ჩაწერა: „ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი და მარადის ქალწული მარიამი, დაასრულა რა თავისი მიწიერი ცხოვრების გზა, სხეულითა და სულით აყვანილ იქნა ზეციურ დიდებაში“ (Христианское вероучение с. 233). ეს სარწმუნოებრივი მოძღვრებითი გადაწყვეტილება, ისევე, როგორც წინა მარიოლოგიური დოგმატი, მიღებულ იქნა კათოლიკური საეკლესიო კრების მოწვევის გარეშე, მხოლოდ ეპისკოპოსების გამოკითხვის საფუძველზე. როგორც ვხედავთ, ეს დოგმატი მართლაც პირდაპირ და ერთმნიშვნელოვნად არის დაკავშირებული უბიწოდ ჩასახვის დოგმატთან, რასაც თავად პიუს XII მოწმობს წერილში «*Fulgens corona gloriae*» 8.IX.1953. (AAS 45 (1953). P. 590-591): „ყოვლადწმინდა ქალწულის სხეულითა და სულით ზეცაში აყვანა არის მისი პირველი მადლიანი უპირატესობის, მისი უბიწო ჩასახვის შედეგი... ასეთი უმაღლესი სიკეთით აღვსილი უპირატესობებით არის გამორჩეული როგორც გარიჟრაჟი, ისე მწუხრი მისი ცხოვრებისა“, – ბრძანებს რომის პაპი.

და მართლაც, თუ მარადისქალწული პირველქმნილი ცოდვისგან თავისუფალი იყო, ის თავისუფალი უნდა ყოფილიყო ამ ცოდვის შედეგისგან, ანუ ხრწნილებისა და სიკვდილისგანაც. უნდა ყოფილიყო ისეთი, როგორებიც იყვნენ ადამი და ევა, ვიდრე ცოდვით დაეცემოდნენ.

ასეთი მოსაზრებები, როგორც ღვთისმოსაობით აღვსილი გადმოცემა, დასავლეთში VI საუკუნიდან ვრცელდებოდა. ამ მოსაზრებას შესაძლოა, მართლმადიდებელ გადმოცემაშიც შეეხვდეთ. უფრო მეტიც, მართლმადიდებელი ეკლესია პატივს სცემს ამ რწმენას, მაგრამ არასოდეს არავის გასჩენია სურვილი, ეს მოსაზრება მართლმადიდებლურ დოგმატად მიეღო.

ამ საკითხთან დაკავშირებით თვით კათოლიკურ ღვთისმეტყველებაში დღემდე ცხარე კამათი მიმდინარეობს. ღვთისმშობლის მიძინების დოგმატურ საკითხს ორი ძირითადი ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულება სხვადასხვაგვარად ხსნის: იმორტალისტები მიიჩნევენ, რომ ღვთისმშობელს სიკვდილი საერთოდ არ შეეხებია და ზეცად იგი პირდაპირ მიწიერი ცხოვრებიდან იქნა აყვანილი. გარდაცვალებისთანავე ზეცად თვით იესო ქრისტე არ ასულა, ის მხოლოდ მესამე დღეს




აღსდგა და მეორმოცე დღეს ამაღლდა. ჩვენ უფალს უნდა მოუესმინოთ, უფალი კი ბრძანებს: „მე ვარ გზა“. იმორტალულისტების შეხედულება იმავდროულად ეწინააღმდეგება წმინდა მამათა მიერ დადასტურებულ ღვთისმშობლის სიკვდილის ფაქტსაც და საეკლესიო წმინდა გადმოცემასაც.

უფრო მეტად არის გაგრძელებული მორტალისტების მოძრაობა, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ღვთისმშობლის სხეული მაცხოვრის მიერ ზეცად აყვანილ იქნა ხანმოკლე მიძინების შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოსაზრება ძირითადად არ ეწინააღმდეგება საერთო საეკლესიო წმინდა გადმოცემას, მაინც ბადებს სერიოზულ საღვთისმეტყველო გაუგებრობას. ჩვენ ვიცით, რომ სიკვდილი ცოდვის შედეგია, ამიტომ ის ყველა ადამიანზე ქრთნაირად ვრცელდება. მაგრამ იესო ქრისტე, როგორც ერთსა და იმავე დროს ღმერთიცა და ადამიანიც, არის რა ყოვლადუცოდველი, მხოლოდ ის არ უნდა დამორჩილებოდა სიკვდილის ნებას. მაცხოვარმა სიკვდილი, როგორც კაცთა მოდგმის ცოდვისგან გამოსხნის საშუალება თავისი ნებით მიიღო. თუ ღვთისმშობელი დაბადებიდანვე ცოდვის ძალას ანუ სიკვდილს არ ემორჩილებოდა, რადგან ჩასახვის მომენტიდან ცოდვისგან თავისუფალი შეიძლებოდა ყოფილიყო, — როგორც ამას კათოლიკური ეკლესია ამტკიცებს, — მაშინ მასაც, ისევე როგორც მაცხოვარს, სიკვდილი თავისი ნებით, ადამის შთამომავლობის გამოსხნის ან გამოსყიდვის მიზნით უნდა მიეღო. კაცობრიობას კი ერთადერთი გამომსხნელი — უფალი იესო ქრისტე ჰყავს.

კათოლიკობაზე განაწყენებული პროტესტანტების შეხედულებები

ღვთისმშობლის თაყვანისცემა ეწინააღმდეგება რეფორმაციის ძირითად პოსტულატს, რომლის თანახმადაც, ეკლესიის ერთადერთი და უჩინარი მეთაურია იესო ქრისტე, ამიტომ ღმერთთან მას სხვა წინამძღოლი და შუამდგომელი არ სჭირდება. მარტინ ლუთერი ღვთისმშობლის მარადისქაღვულობას ჯერ კიდევ აღიარებდა და ღმერთის წინაშე მის შუამდგომლობასაც დასაშვებად მიიჩნევდა. განმანათლებლობის ეპოქის დასაწყისამდე ლუთერანები ღვთისმშობლის თაყვანისცემასთან დაკავშირებულ დღესასწაულებს საზეიმოდ



აღნიშნავდნენ. ულრიხ ცვინგლიმ (1484-1531), რომელმაც მე-16 საუკუნის 20-იან წლებში ციურისში საეკლესიო და პოლიტიკური რეფორმა გაატარა და ეკლესია ქალაქის მმართველობას დაუქვემდებარა, სრულიად უარყო ღვთისმშობლის თაყვანისცემის საჭიროება. ღვთისმშობლის თაყვანისცემის კატეგორიული წინააღმდეგი იყო რეფორმაციის ცნობილი ლიდერი და უენევის ფაქტიური დიქტატორი ჟან კალვინი (1509-1564). როგორც ჩანს, ქრისტიანობის ჭეშმარიტი არსი კალვინს ვერ გაუგია. „მკრეხელობაა, – წერდა იგი, – როდესაც მარიამ ქალწულს ღოცვით შესთხოვენ, უბრძანოს თავის ძეს, შეასრულოს მღოცველის თხოვნა და როდესაც ღვთისმშობელსა და წმინდანებს იმას მიაკუთვნებენ, რაც მხოლოდ ღმერთსა და იესო ქრისტეს ეკუთვნის“ (Кальвин Ж. Ноставление в христианской верою. М., 1998.Т.3 с.338).

არადოგმატური კათოლიკური მიგნებები

რომის კათოლიკურ ეკლესიაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ყოვლადწმინდა ქალწულის, როგორც „მეოხის“, მოხსენიებას. ეს არ არის კათოლიკურ ეკლესიაში დოგმატური მნიშვნელობის სახელი, იგი XV საუკუნეში გაჩნდა და მისი აღიარება მხოლოდ მე-20 საუკუნეში მოხდა. ამ სწავლებას ხანგრძლივი ისტორია აქვს და ის ფართოდაა გავრცელებული. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული მართლმადიდებლური თვალსაზრისისგან განსხვავებით, კათოლიკური სწავლება მიიჩნევს, რომ ყოვლადწმინდა მარიამი ადამიანის ცოდვის ტყვეობიდან იესო ქრისტესთან ერთად თანაგამომსნეული და თანაგამომსყიდველია. შესაბამისად, სწავლება თავისი შინაარსით მეორე მარიოლოგიურ დოგმატს უკავშირდება. 1904 წელს რომის პაპმა პიუს X-მ თავისი ენციკლიკით „Ad diem illum“ დაამტკიცა, რომ ყოვლადწმინდა მარიამი „თავისი საგამომსნელო ქმედებით იესო ქრისტესთან არის დაკავშირებული“ (Христианское вероучение с. 230); ამავე დროს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი კათოლიკურ ეკლესიაში „ეკლესიის დედად“ იხსენიება. ისევე როგორც „მეოხის“, „ეკლესიის დედასაც“ კათოლიკური ეკლესიისთვის საღვთისმეტყველო მნიშვნელობა აქვს.


ამ სახელების შინაარსი შემდეგში მდგომარეობს: იესო

ქრისტე ეკლესიის თავი და მისი საფუძვლი. მაცხოვრის დედა, შესაბამისად, ეკლესიის თავის, კაცთა მოღვაწის გამოხატვის დედაა. ამრიგად, კათოლიკური ღვთისმშობელი კაცობრიობის მსხნელის დედა და ამავდროულად მორწმუნეთა ზეციური ქომაგი და შემწეა. როგორც აღინიშნა, ეს სახელები დოგმატურ ხარისხში არ არის აყვანილი, მაგრამ აშკარად შეინიშნება, რომ დასავლეთის ეკლესია კვლავაც გააგრძელებს ყოვლადწმინდა ქალწულის შესახებ სწავლების შემდგომ განვითარებას.

ღვთისმშობლის თაყვანისცემის კათოლიკური დოგმატის განვითარების ძირითადი მიზეზები

თავისთავად ჩნდება კითხვა: რამ განაპირობა, რომ უკანასკნელ ასწლეულში კათოლიკური დოგმატიკის განვითარება ესოდენ მჭიდროდ დაუკავშირდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელს? თუ ძველ ლიტურგიკულ ტექსტებს მოვიშველიებთ, დავინახავთ, რომ მათში ღვთისმშობლის მოხსენიებისას გაცილებით მეტი თავშეკავებულობა იგრძნობა. სპეციალური ღოცვები მის მიმართ მხოლოდ V საუკუნეში გაჩნდა. მომდევნო შუა საუკუნეებში დასავლეთის ეკლესიაში ეს ტენდენცია ყოველგვარ ზღვარს გადასცდა და საჭირო გახდა, პაპის ახალი, შემზღვეველი დადგენილების გამოცემა.

რა პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, შუა საუკუნეებში ღვთისმშობლისადმი გადაჭარბებული ყურადღება კათოლიკურ აზროვნებაში ღმერთის ხატის გაუკუღმართებას უკავშირდება. როგორც მეუფე მიხეილი (მუდიუგინი) წერს: „ამ მარიაშვილი აღმაფრენის ძირითადი მიზეზი ის გახლავთ, რომ შუა საუკუნეებში კათოლიკეები იესო ქრისტეში მაცხოვარს თითქმის ვედარ ხედავდნენ და მისმა სახარებისეულმა ხატმა მათთვის მეფის, კანონმდებლის, მსაჯულის, საზღაურის მაძიებლისა და შურისმგებლის სახე მიიღო. მაცხოვრის ხატის ასეთმა სახეცვლილებამ კათოლიკური ეკლესიის წევრი ქრისტიანის სულიერება მის ჭეშმარიტ უფალსა და შუამდგომელს – ძე კაცისას, იესოს ჩამოაშორა. დაირღვა მასთან არსებული შინაგანი ერთიანობა და შეიცვალა ისეთი იურიდიული პასუხისმგებლობის გრძნობით, როგორიც ძველი აღთქ-



მის ეკლესიაში იყო გაბატონებული“ (ქრისტიანი შვებას იესო ქრისტეში, მასთან ზიარებასა და მადლის მოხვეჭაში ერთგული კანონის შესრულებაში ეძებდა).

ამ გაუცნობიერებელი არე-დარევისა და დაბნეულობის მიზეზი შუა საუკუნეების კათოლიკე ქრისტიანის წარმოდგენაში არსებული სამართლიანი და დაუნდობელი ღმერთის წინაშე შიშში უნდა ვეძიოთ. ეს იყო ღმერთის – „უდიდესი ინკვიზიტორის“ წინაშე დათესილი შიში, რაც თავისთავად განაპირობებდა ქრისტიანების ეკლესიისგან განაპირებასა და პიროვნულ განმსოლოებას.

დაუნდობელი ღმერთის წინაშე შიშს ადამიანები ნელ-ნელა უძღურებისა და რელიგიური სასოწარკვეთილების გრძობამდე მიჰყავდა, ამ გრძობით იყო განმსჭვალული მთელი შუა საუკუნეების კათოლიკური თვითშეგნება. ადამიანს არ სჯეროდა, რომ ღმერთი მის ღოცვას შეისმენდა, ამიტომ ეძებდა სხვას, უფრო მისაწვდომს, ისეთს, ვინც მეოხებას გამოიჩენდა და ღოცვას ღმერთამდე მიიტანდა.

კათოლიკური ეკლესიის წიაღიდან გამოსული რეფორმაციის მომხრეები მეორე უკიდურესობაშიც აღმოჩნდნენ. როგორც ირკვევა, მათი დოქტრინა ქრისტიანობაში სამართლიანი, ჯანსაღი აღმსარებლობის ძიებაზე კი არ იყო ორიენტირებული, არამედ დაეფუძნა მათი რესპუბლიკური აზროვნების პრინციპებს: მათთვის მიუღებელი იყო ქრისტიანობაში ყოველგვარი ინკვიზიციური გადმონაშთი, მაგრამ ინკვიზიციურ ნარჩუნებთან ბრძოლას ჭეშმარიტი ქრისტიანული სულისკვეთებაც გადააყოლეს.

კათოლიკური ეკლესია კვლავაც განაგრძობს მკაცრი მსაჯულის – ღმერთის უსაზღვრო თანაგრძობობით აღსავსე ღვთისმშობლის ხატით ჩანაცვლებას და ღოცვას ძირითადად მისკენ ან მისი მეოხებით ღმერთისკენ მიმართავს. ღვთისმშობელი არც აკანონებს და არც განკარგავს, არ განიკითხავს და არ სჯის. ამიტომ კათოლიკე ქრისტიანის რელიგიური გრძნობები უფრო იოლად მისკენ მიემართება. ღვთისმშობელში იგი ძეზე უფრო ახლობელ, ამქვეყნიურ და ამავე დროს ღმერთთან დაახლოებულ მეოხს ხედავს, რომელსაც შეუძლია, ცოდვილი მორწმუნის ღოცვა ღმერთამდე მიიტანოს. მორწმუნის აზროვნებაში მაცხოვარი ვეღარ აღიქმება ძე ღვთისად, რომელმაც თითოეული ჩვენგანის უძძიმესი მიწიერი

ტვირთი გაიზიარა. ის განშორებულია ყოფით სინამდვილეს, ამიტომაც ადამიანს სხვა მეოხის მოძიების გარდა აღარაფერი რჩება. ქრისტიანული მრწამსისადმი ამგვარი დამოკიდებულება ობიექტურად ასუსტებს იმ უმთავრეს ქრისტიანულ მიზანს, რომელსაც განდმართობა ჰქვია.

მართლმადიდებლობა სიკვდილისა და მიძინების შესახებ

მართლმადიდებელი ეკლესია არც ღვთისმშობლის უბიწო ჩასახვისა და არც მისი სულისა და სხეულის ზეციურ დიდებაში ერთდროულად „აყვანის“ დოგმატს არ აღიარებს. მთავარი მიზეზი ის არის, რომ მართლმადიდებლობა ეყრდნობა ქრისტიანულ სწავლებას, რომელსაც რწმენის სისრულე ჰქვია, ანუ მართლმადიდებელი რწმენა და დოგმატური სწავლება სრულია და მას არავითარი დამატება და „დოგმატური განვითარება“ არ ესაჭიროება.

მართლმადიდებელი ეკლესია გვასწავლის: ისევე, როგორც ადამის ყველა სხვა შთამომავალი, ღვთისმშობელი მარიამიც პირველქმნილი ცოდვის შედეგების გავლენას განიცდიდა, ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ არავითარი პირადი ცოდვა არ გააჩნდა (ამ თვალსაზრისით იყო უცოდველი და ყოვლადწმინდა), მასზე მაინც მოქმედებდა ადამის ცოდვის მთავარი შედეგი, რაც ყველა ადამიანში სიკვდილის სახით ვლინდება. ამდენად, დაასრულა რა თავისი ცხოვრების გზა, ადამიანური კანონის შესაბამისად, მისი სხეულიც სიკვდილს დაემორჩილა, ისევე როგორც ადამი, ევა და ყველა მათი შთამომავალი, რადგან პირველქმნილ ცოდვაში მთელი ადამის მოდგმა გაერთიანებული. თუმცა ბუნებრივ სიკვდილს ზიარებული ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი არ დარჩა სიკვდილის მორჩილებაში – ის მაცხოვრის მეორედ მოსვლამდე, საყოველთაო აღდგომამდე, ცოცხალთა და მკვდართა საყოველთაო სამსჯავრომდე და ფერისცვალებამდე, პირადი ცოდვებისგან სრულიად თავისუფალი, მიძინებიდან მესამე დღეს აღსდგა, აყვანილ იქნა ზეცაში და მას შემდეგ მისი სულიცა და სხეულიც სამარადჟამო ზეციურ დიდებაშია.

რატომ ხდება, რომ ღვთისმშობლის მიცვალებას მართლმადიდებლები მწუხარებისა და დარდის ნაცვლად დღესასწაულ-

ითა და იმედით ვხვდებით? საქმე ის არის, რომ ეს ის მიცვალებია, რომლითაც ადამის ცოდვით დაცემულმა კაცობრიობამ პირველად დაინახა, რომ ადამიანი რეალურად უკვდავია. ღვთისმშობელი სიკვდილით კი არ მოკვდა, არამედ თავისი ადამიანური სრულყოფილობისა და სიწმინდის გამო დროებით „მიიძინა“ – გვიჩვენა, რომ სიკვდილი დროებითი მოვლენაა და მაცხოვრის მადლით ადამიანი სიკვდილის მონა არ არის. გარდა ამისა, როგორც დავინახეთ, ადამიანი უფლის მიერ ნათესაური კავშირის გამო კი არა, პირადი დამსახურებისა და უფალთან თანაქმედების გამო განდიდდება. მართლმადიდებლობა ღვთისმშობლის მიძინებასა და მის ამაღლებაში თავად მის წვლილსა და დამსახურებასაც უსვამს ხაზს. ღვთისმშობელმა თავისი ძის გაკვალული გზით დატოვა ქვეყანა და ამით დაგვანახა, რომ ამ გზაზე სიარული ადამიანისთვის საესეებით შესაძლებელია. ყველაფერთან ერთად, აი, ამისთვის ვცემთ თაყვანს ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს და ამაშია მისი დიდი მეოხება.

ყველა ადამიანს აქვს სიკვდილის შიში. ეს გასაგებია, რადგან სიკვდილი ჩვენთვის არაბუნებრივი მოვლენაა. ღმერთს სიკვდილისთვის არ შეუქმნია ადამიანები. წმინდა სახარება გვამცნობს, რომ სიკვდილის წინ იესო ქრისტემაც დიდი სულიერი ტკივილი გადაიტანა. მათეს სახარებაში ვკითხულობთ: „მაშინ უთხრა მათ იესომ: მწუხარება ჩემი სული, ვიდრე სიკვდილამდე“ (მათ. 26:38). ეს სიტყვები მაცხოვარმა მაშინ უთხრა თავის მოწაფეებს, როდესაც ჯვარცმით სიკვდილისთვის ემზადებოდა. იესო ქრისტე იმისთვის მოევლინა ქვეყანას, იმისთვის გაიარა სრული ადამიანური ცხოვრების გზა, იმისთვის იტვირთა ჯვარი, ხორციელი სიკვდილის შემდეგ სულით იმისთვის ჩავიდა და გაანადგურა ჯოჯოხეთი, რათა ადამიანი სიკვდილისგან გაეთავისუფლებინა.

იესო ქრისტეს აღდგომის შემდეგ სიკვდილმა დაამთავრა თავისი „საქმე“, ადამიანი აღარ არის უკუნის მსხვერპლი. მორწმუნეთათვის სიკვდილი საიდუმლოა, რომლის შემდეგაც იესო ქრისტეში ანუ ღმერთში ახალი სიცოცხლე იწყება. ყველა, ვინც მიიცვალა, მკვდრეთით აღდგომის მოლოდინშია, რაც უფლის მეორედ მოსვლის შემდეგ განხორციელდება. სწორედ ღვთისმშობლის მიძინებაა მაგალითი ასეთი აღდგომისა, ახალ ცხოვრებაში გადასვლისა და უფალთან შეხვედრისა.

წმინდა ეკლესია სიტყვა „გარდაცვლილში“ ერთმნიშვნელოვნად „მიძინებულს“ გულისხმობს და ცდილობს, ჩვენშიც დაამკვიდროს სიკვდილისადმი ისეთი უშიშარი დამოკიდებულება, როგორც ყოველდღე წმინდა ღვთისმშობელს ჰქონდა. ყოველდღე წმინდა ღვთისმშობელთან, წმინდანებთან, ღმერთთან და ნეტარი ცხოვრება მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის იმდენად რეალურია, რომ სიკვდილს ჭეშმარიტად ხანმოკლე ძილად მიიჩნევს.



1. Свят. Кирилл Александрийский. Творения, книга вторая, М., изд. „Памолник“, 2001;
2. Преп. Иоанн Дамаскин, Точное изложение православной веры. Кн. 3, гл. 12;
3. <http://orthodoxy.ge/>;
4. www.raskol.net. Догматическое учение о Деве Марии;
5. <http://pravanc.ru/>;
6. uspenie.paskha.ru/prazdnik/svidetelstva/;
7. www.vokrugsveta.ru; Матермал из википедии – свободной ‘нциклопедии;
8. days.pravoslavie.ru; Успение Пресвятой Владычицы нашей Богородицы и Приснодевы Марии;
9. В. Лосский Догматическое богослоие;
10. В. Лосский Догмат о непорочном зачатии. „Богословские труды“;
11. Прот. Максим Козлов, Огицкий Д. П. Православие и западное христианство;
12. Иерей Олег Давыденков. Догматическое богословие, М., ПСТГУ, 2006;
13. П. Малков Догматическое учение о Деве Марии Его особенности;
14. В. Васечко Сравнительное богословие;
15. М. Иванов Католическое учен Божией Матери;
16. Михаил (Мудьюгин) еп. Православная трактовка развития мариологий Римо-католической Церкви за последнее столетие. – „Вестник Русского западно-европейского патриаршего „кзархата“, 1966



ყოვლადწმინდა და მარადისქალწული ღვთისმშობლის დაბადება 3

ყოვლადწმინდა მარიაში 3

წყაროები 3

დაბადება 4

სწავლება ყოვლადწმინდა მარიაშის დაბადების შესახებ 6

კათოლიკური დოგმატი ღვთისმშობლის უბიწო ჩასახვის შესახებ 7

არგუმენტები, რომლებითაც მარიოლოგიური დოგმატის დასაბუთებას ცდილობენ: 8

მარიოლოგიური დოგმატურ სწავლებაში არსებული სხვა შეუსაბამობანი 9

მართლმადიდებლური სწავლება ღვთისმშობლის დაბადების შესახებ 12

ორი წერილის ფრაგმენტი მარადისქალწული მარიაშის შესახებ 14

პაველ მაღკოვი. „მართლმადიდებლური სწავლება ღვთისმშობლის მარადისქალწულებაზე“ 19

ღვთისმშობელი და მისი ხატის ამსახველი რამდენიმე სიმბოლო 25

დედა ღვთისა 25

ღვთისმშობელი მარიაში 26

ღვთისმშობლის პიროვნებასთან დაკავშირებული რამდენიმე სიმბოლო 30

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინება 34

ღვთისმშობლის ყოველდღიური ცხოვრების ეპიზოდები მაცხოვრის ამადლებიდან მიძინებამდე 34

ღვთისმშობლის მიძინებასთან დაკავშირებული სხვა ცნობები 36

ანგელოზის გამოცხადება 37

მოციქულთა შეკრება 37

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სულის ზეცად აღსვლა 38

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინება და გაცილება 40

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის გაცილება 40

მართლმადიდებელი და არამართლმადიდებელი სწავლებანი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების შესახებ 43

სამი დღე აკლდამის შესასვლელთან და თომა მოციქული 43

ის, რაც კათოლიკურმა ეკლესიამ ღვთისმშობლის მიძინების ამბავს „შესძინა“ 44

ორი კათოლიკური დოგმატის ურთიერთმიმართება 46

კათოლიკობაზე განაწყენებული პროტესტანტების შეხედულებები 48

არადოგმატური კათოლიკური მიგნებები 49

ღვთისმშობლის თაყვანისცემის კათოლიკური დოგმატის განვითარების ძირითადი მიზეზები 50

მართლმადიდებლობა სიკვდილისა და მიძინების შესახებ 52

K282-62A

3 11 1950